

F-171

1981



საქართველოს სსრ განათლების სამინისტრო

ბრძანებითა
და
ინსტრუქციითა
პრეზული

თბილისი
1981

აგვისტო

№ 8

АВГУСТ

МИНИСТЕРСТВО ПРОСВЕЩЕНИЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

ТБИЛИСИ
1981

СБОРНИК
ПРИКАЗОВ
И
ИНСТРУКЦИЙ



საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის
1981 წლის 17 ივნისის გადაწყვეტილება

**რესპუბლიკის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებთან არსებული
 ინტერნატების მუშაობის შესახებ**

„რესპუბლიკის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებთან არსებული ინტერნატების მუშაობის შესახებ“ განათლების სამინისტროს სკოლების სამმართველოს მიერ წარმოდგენილი ცნობის საფუძველზე (თან ერთვის) კოლეგიამ

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა :

1. განათლების სამინისტროს სკოლების სამმართველოს ცნობა „რესპუბლიკის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებთან არსებული ინტერნატების მუშაობის შესახებ“ დაეგზავნოს სახელმძღვანელოდ აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განათლების სამინისტროებს, სამხრეთ ოსეთის ა/ო, რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების სახალხო განათლების განყოფილებებს, ი. ვოგებაშვილის სახელობის პედაგოგიკის მეცნიერებათა სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტს, მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტებს:

2. აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განათლების სამინისტროებმა, სამხრეთ ოსეთის ა/ო, რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების სახალხო განათლების განყოფილებებმა:

2. 1. აღნიშნული ცნობა განიხილონ სამინისტროს კოლეგიებზე, სახალხო განათლების საბჭოს სხდომებზე და დასახონ კონკრეტული ღონისძიებანი არსებულ ნაკლოვანებათა აღმოფხვრის, სასკოლო ინტერნატების მატერიალური ბაზის განმტკიცების, მათში ნორმალური პირობების შექმნის მიზნით;

2. 2. სასკოლო ინტერნატების მუშაობაში არსებულ ნაკლოვანებათა აღმოფხვრის მიზნით ღონისძიებათა შემუშავებისას განუხრელად **იხელმძღვანელონ სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1973 წლის 2 ივლისის № 471 დადგენილებით „სოფლის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის მუშაობის პირობების შემდგომი გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ“** და საქართველოს **სსრ განათლების სამინისტროს 1973 წლის 5 ნოემბრის № 767 შესაბამისი ბრძანებით.**



2. 3. გააძლიერონ კონტროლი სასკოლო ინტერნატების მუშაობაში, განსაკუთრებული ყურადღება დაუთმონ სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესის სრულყოფას;

2. 4. შესაბამის ორგანოებთან ერთად იზრუნონ სასკოლო ინტერტანების მატერიალური ბაზის განმტკიცების, აღსაზრდელთა კვების ორგანიზაციის, მათი მაღალხარისხოვანი და კალორიული პროდუქტებით მომარაგების, სანიტარიულ-ჰიგიენური რეჟიმის დაცვისათვის. სისტემატურად აწარმოონ სკოლებთან არსებულ ინტერნატებში მცხოვრებ მოსწავლეთა სამედიცინო შემოწმება; გააძლიერონ კონტროლი სანიტარიულ-ჰიგიენური ნორმებისა და წესების შესრულებაზე;

2. 5. ეფექტურად გამოიყენონ სასკოლო ინტერნატებისათვის გამოყოფილი ასიგნებანი. მოახდინონ ნორმის ზევით არსებული თეთრეულის გადანაწილება ინტერნატებს შორის;

2. 6. წესრიგში მოიყვანონ გათბობის სისტემა სასკოლო ინტერნატებში. უზრუნველყონ მათი ეზოების შემოღობვა, მიმდებარე ტერიტორიის კეთილმოწყობა;

2. 7. აამაღლონ სკოლის დირექტორებისადმი მომთხოვნელობა და მათი პერსონალური პასუხისმგებლობა სასკოლო ინტერნატებში საჭირო საყოფაცხოვრებო პირობების შექმნისათვის, სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის გაუმჯობესებისათვის;

2. 8. მკაცრი მსჯელობა იქონიონ იმ ხელმძღვანელთა მიმართ, რომლებიც ვერ უზრუნველყოფენ სასკოლო ინტერნატების ნორმალურ მუშაობას;

გადასინჯონ სასკოლო ინტერნატების კადრები და საჭირო შემთხვევაში მოახდინონ მათი შეცვლა.

2. 9. მოწონებულ იქნას აჭარის ასსრ, წალენჯიხის, გეგეჭკორის, ხაშურის, გორის, მესტიის (ეწვრა) რაიონების კოლმეურნეობათა საქმიანობა სასკოლო ინტერნატების მოსწავლეთა კვების საფასურისაგან განთავისუფლების საქმეში;

2. 10. გატარებული ღონისძიებების შესახებ ინფორმაცია წარმოადგინონ განათლების სამინისტროში 1982 წლის 15 აპრილამდე.

3. მასწავლებელთა დახელოვნების ცენტრალურმა ინსტიტუტმა (ამხ. მ. დარჩია) უზრუნველყოს სასკოლო ინტერნატების აღმზრდელთა კვალიფიკაციის ამაღლება, მოწინავე სასკოლო ინტერნატების მუშაობის გამოცდილების განზოგადება;

4. მომარაგების მთავარმა სამმართველომ (ამხ. კ. ძლიერიშვილი) უმოკლეს ვადაში უზრუნველყოს სასკოლო ინტერნატები საჭირო რაზმით და მაგარი ინვენტარით.

5. კაპიტალური მშენებლობის სამმართველომ (ამხ. ბ. აფხაზავა) დააჩქაროს დაქირავებული და ავარიული შენობებიდან სასკოლო ინტერნატების გამოყვანა; ახალი ტიპური შენობის დაპროექტებისას გაითვალისწინოს საყოფაცხოვრებო ოთახები, დამხმარე სათავსოები, სამრეცხაოები; სისტემატური კონტროლი დააწესოს სასკოლო ინტერნატების მშენებლობასა და ექსპლოატაციაში დროულად გადაცემაზე, კაპიტალურ დაბანდებათა ათვისებაზე.

6. განათლების სამინისტროს სკოლების სამმართველოს ინსპექტორებმა განსაკუთრებული ყურადღება გაამახვილონ ზონაში სასკოლო ინტერნატების მუშაობაზე.

7. სასკოლო ინტერნატების მუშაობაზე ორგანიზაციული ხელმძღვანელობისა და დახმარების მიზნით სკოლების სამმართველოსთან შეიქმნას ჯგუფი 3 კაცის შემადგენლობით: გ. ჭუმბაძე — სასკოლო ინსპექტორი (ჯგუფის ხელმძღვანელი), შ. ფირცხალავა — მეთოდცენტრის მეთოდისტი და ჯ. მახარაძე — მეთოდცენტრის მეთოდისტი.

8. სკოლების სამმართველომ (ამხ. კ. სუჯაშვილი):

8. 1. სასკოლო ინტერნატების მუშაობაში არსებული ნაკლოვანებების აღმოფხვრისა და მუშაობის პირობების შემდგომი გაუმჯობესების მიზნით შეიმუშაოს წინადადებები საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოში წარსადგენად.

8. 2. 1982 წელს გადაამოწმოს სასკოლო ინტერნატების მუშაობა რესპუბლიკის 4—5 რაიონში;

8. 3. დააწესოს კონტროლი ამ გადაწყვეტილების შესრულებაზე.

9. გაზეთ „სახალხო განათლების“ რედაქციამ (ამხ. ნ. შველიძე) გამოაქვეყნოს აღნიშნული გადაწყვეტილება და სკოლების სამმართველოს ცნობა.

კოლეგიის თავმჯდომარე,
მინისტრი

ო. ჭინჭლაძე

კ. მარქლის სახ. საქ. სსრ
სახელმწიფო ბიბლიოთეკა
ვა. რესპუბლიკა

რესპუბლიკის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებთან არსებული
ინტერნატების მუშაობის შესახებ

საქართველოს სსრ განათლების სამინისტრომ მიმდინარე წლის აპრილში შეისწავლა რესპუბლიკის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებთან არსებული ინტერნატების მუშაობა.

საკითხის ადგილზე შესწავლის შედეგად გამოირკვა, რომ განათლების სამინისტროსა და სახალხო განათლების ადგილობრივი ორგანოების მიერ გარკვეული მუშაობაა ჩატარებული ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებთან არსებულ ინტერნატებში მუშაობის პირობების გაუმჯობესებისათვის.

გასულ ხუთწლედთან შედარებით საგრძნობლად განმტკიცდა სასკოლო ინტერნატების მატერიალური ბაზა. 1976—1980 წლებში ექსპლუატაციაში გადაეცა 34 ახალი ტიპური შენობა სასკოლო ინტერნატებისათვის, ხოლო 1981 წლისათვის დაპროექტებულია 10 ტიპური შენობის აგება. მათგან ოთხი 1981 წლის სექტემბრისათვის შევა ექსპლუატაციაში.

ხუთწლედის მანძილზე საგრძნობლად გაუმჯობესდა აღსაზრდელთა საყოფაცხოვრებო, სანიტარიულ-ჰიგიენური პირობები, მათი კვების ორგანიზაცია, კავშირი საშეფო ორგანიზაციებთან, სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის შინაარსი და ფორმები და სხვ.

1979—1980 სასწავლო წელს ჩატარებულმა სასკოლო ინტერნატების მე-2 რესპუბლიკურმა დათვალიერებამ კიდევ უფრო შეუწყო ხელი სასკოლო ინტერნატების სასწავლო-მატერიალური ბაზის განმტკიცებას, მუშაობის პირობების გაუმჯობესებას, სწავლების ხარისხისა და სამედიცინო მომსახურების დონის ამაღლებას.

ამასთან, სასკოლო ინტერნატების მუშაობაში შეინიშნება სერიოზული ნაკლოვანებანი. 1976 წელთან შედარებით 35 ერთეულით (14,1%-ით) შემცირდა სასკოლო ინტერნატების რიცხვი. შესაბამისად 4,9%-ით შემცირდა მათში გაერთიანებულ მოსწავლეთა რაოდენობა, რაც გამოწვეულია მოსახლეობის მიგრაციით მაღალმთიანი რაიონებიდან ბარისაკენ (დუშეთის, ხაშურის, ცხინვალის რაიონები), მოსწავლეთა კონტინგენტის შემცირებით (ლენინგორის, წულუკიძის, კასპის, ონის რაიონები), მეზობელ სოფლებში რვაწლიანი სკოლების გახს-

ნით (წალკის რაიონი), ქსუისის ქართულ-ოსური სასკოლო ინტერნატების გაერთიანებით (ცხინვალის რაიონი). გაუქმებულია აგრეთვე ყაზბეგის რაიონის სოფელ სნოს სასკოლო ინტერნატიც, რომელიც ექსპლუატაციაში გადაეცა 1976 წელს. ამასთან, სახალხო განათლების განყოფილების მიერ წარმოდგენილი ცნობით 21 ბავშვი საჭიროებს ინტერნატში მოთავსებას.

სასკოლო ინტერნატების არსებული ქსელი მთელ რიგ რაიონებში ვერ აკმაყოფილებს მოთხოვნას (ზესტაფონის (ბოსლევო), ცაგერის (ორბელი, ბარდნალა, ალვანი), ხელვაჩაურის (მახო), ჩოხატაურის (შუახევი), ლაგოდეხის, თეთრიწყაროს ბოლნისის, დმანისის, წალკის, ქობულეთის, მესტიის რაიონები).

დღეისათვის რესპუბლიკაში ფუნქციონირებს 155 სასკოლო ინტერნატი, რომლებშიც გაერთიანებულია სკოლიდან 3 კმ და მეტი მანძილის დაშორებით მცხოვრებ მოსწავლეთა 7,8% (7,9%—1976 წ.). ამასთან, მოგვარებულია ასეთი ბავშვების მხოლოდ 61,9% (52,0% — 1976 წ.) ტრანსპორტირება, ხოლო 30,3% (40,1% — 1976 წ.) უხდებათ ფეხით სიარული, რაც მიუთითებს იმ ფაქტზე, რომ რესპუბლიკის მთელ რიგ რაიონებში ადგილობრივი ხელმძღვანელი ორგანოები სათანადო ყურადღებას არ უთმობენ აღნიშნულ საკითხს. მაგალითად, ლენტეხის ბორჯომის (გუჯარეთი), ლენინგორის, მესტიის, გორის, კასპის, წალკის, თიანეთის, ჩოხატაურისა და სხვა რაიონებში საერთოდ არ განუხილავთ მოსწავლეთა ტრანსპორტირების საკითხი, არ არის დამტკიცებული ავტობუსების მიმოსვლის გრაფიკი და არც პასუხისმგებელია ამ საკითხზე გამოყოფილი. ორჯონიკიძის რაიონის სოფელ ნაბადურში ავტობუსი რაიონის ცენტრიდან გადის დილის 7 საათზე და უკან ბრუნდება საღამოს 7 საათზე, რაც მოსწავლეთა ტრანსპორტირებისათვის მოუხერხებელია. აღსანიშნავია, რომ ზნაურის რაიონის ბალთის, ველებისა და ბექმარის საბჭოთა მეურნეობებს გამოყოფილი აქვთ ავტობუსები მოსწავლეთა გადასაყვანად, მაგრამ ჯერჯერობით არც ერთი მოსწავლე არ გადაუყვანიათ და საერთოდ უარს აცხადებენ მათ გადაყვანაზე.

სახალხო განათლების ადგილობრივი ორგანოები სათანადო ყურადღებას არ უთმობენ სტატისტიკური ფორმების წარმოებას, განათლების სამინისტროში წარმოდგენილი ცნობები 3 კმ და მეტი მანძილით

სკოლიდან დაშორებით მცხოვრებ მოსწავლეთა სასკოლო ინტერნატებში ჩაბმისა და ტრანსპორტირების შესახებ არ იძლევა სრულ სურათს. მაგალითად, ფორმა დ-5 მიხედვით ახალქალაქის რაიონში არის 4 სასკოლო ინტერნატი, ქედაში — 5, წალკაში — 8, ცაგერში — 2, ცხაკაიაში — 1, ადგილზე შემოწმებით კი აღმოჩნდა შესაბამისად ახალქალაქში — 3, ქედაში — 4, წალკაში — 9, ცაგერში — 3, ხოლო ცხაკაიის რაიონის სახალხო განათლების განყოფილების მიერ აღნიშნულ ფორმაში სასკოლო ინტერნატის ნაცვლად შეტანილი აქვთ მონაცემები სკოლა-ინტერნატების შესახებ. ლავოდების რაიონის მონაცემებით უფასო ტრანსპორტით გადაყავთ 232 მოსწავლე, შემოწმებისას კი აღმოჩნდა — 336, ანალოგიური მდგომარეობა აღინიშნა სხვა რაიონებშიც. აღნიშნული ფაქტი ნიუთითებს იმაზე, რომ სახალხო განათლების ადგილობრივი ორგანოები უპასუხისმგებლოდ ეკიდებიან სტატისტიკური ფორმების შევსებას, რაზედაც განათლების სამინისტროს მიერ არაერთგზის იყო გამახვილებული მათი ყურადღება.

ქვეყნულ სუსტია რიგი სასკოლო ინტერნატის მატერიალური ბაზა. არსებული სასკოლო ინტერნატების 45,2% (70 ინტერნატი) მოთავსებულია ტიპურ შენობაში, 25,8% (40 ინტერნატი) — შეკეთებულში, 20,0% (31 ინტერნატი) — დაჭირავებულში, 5,1% (8 ინტერნატი) — ავარიულში, 3,9% (6 ინტერნატი) — უშუალოდ სკოლის შენობაში.

ტიპურ შენობებში ბევრგან არ არის გათვალისწინებული დასასვენებელი, თვითმომზადების, ფეხსაცმლისა და ტანსაცმლის გასაშრობი, ჰიგიენური ოთახები. მოუწყვრივებელია წყალმომარაგება (ბორჯომის რაიონის გუჯარეთის, საგარეჯოს რაიონის გომბორის, დუშეთის რაიონის ჭართლისა და ქვეშეთის, ქარელის რაიონის გვერძინეთის სასკოლო ინტერნატები), კანალიზაცია, არ აქვთ გამდინარე ცივი და ცხელი წყალი, აბაზანა, სამრეცხაო და სხვა დამხმარე სათავსო.

დუშეთის (ქვეშეთი), მესტიის (რცხმელური, ხოდური, ჩოლური, სასაში, ჟახუნდარა, ჩიხარეში, მელე), ბოგდანოვკის (გორელოვკა), ლავოდების (პერეთისკარი), საგარეჯოს (გომბორის), შუახევის და სხვა რაიონების სასკოლო ინტერნატების გათბობის სისტემა ვერ უზრუნველყოფს ზამთრის პერიოდში სწავლების ნორმალურ პირობებს. წულუკიძის რაიონის მათხოჯის სასკოლო ინტერნატში საგზაო სამუშაოების შესრულებისას გადახსნილი იქნა თბოგაყვანილობის მილები, რის გამოც აღსაზრდელები მთელი ზამთარი გათბობის გარეშე იყვნენ.

არის ისეთი შემთხვევებიც, როდესაც ახალი შენობა დაუშენებელი ბელი გადაეცემა ექსპლუატაციაში და შემდგომ მშენებლები არ ზრუნავენ სამუშაოთა დამთავრებაზე. მაგალითად, ღუშეთის რაიონის გუდამაყრის სასკოლო ინტერნატის ახალი შენობა ექსპლუატაციაში გადაეცა 1979 წელს. მშენებლებმა ვერ მოასწორეს კარადების ჩადგმა კედლებში, საქვების გადახურვა, სავაჭრო სანტიქანიკით უზრუნველყოფა და სხვა, რაზედაც არსებობს ღუშეთის № 43 მოძრავ-მექანიზებული კოლონიის უფროსის ამხ. კ. თევდორაძის მიერ გაცემული საგარანტიო წერილი სამუშაოების ნომბრისათვის დამთავრების შესახებ, მაგრამ დღემდე ამ მიმართებით არაფერი გაკეთებულა. 1980 წელს ასევე დაუშენებელი გადაეცა ექსპლუატაციაში ხულოს რაიონის ყინჩაურისა და დიოკნისის სასკოლო ინტერნატების შენობები, რის გამოც ახალი ნაგებობანი დღემდე გამოუყენებელია. უფრო მეტიც, ახალი მშენებლობის დამთავრების გამო დაანგრიეს დიოკნისის სასკოლო ინტერნატის ძველი შენობა და მოსწავლეებს უხდებათ ფეხით სიარული დიდ მანძილზე, რაც ხშირად იწვევს სკოლაში დავიანებას. დროულად არ იქნა დამთავრებული ელექტროგაყვანილობის სამუშაოები საჩხერის რაიონის ჭალოვნის სასკოლო ინტერნატში, რის გამოც არ მოხერხდა აღნიშნული ინტერნატის გახსნა. ამბროლაურის რაიონის ხოტევის სასკოლო ინტერნატის შენობაც 1980 წელს გადაეცა ექსპლუატაციაში, მაგრამ გათბობის სისტემა უკვე დაზიანებულია, შესაკეთებელია 1979 წელს აშენებული შუახევის რაიონის ჭვანისა და შუახევის სასკოლო ინტერნატების შენობები. მათი სახურავი გადახურულია შიფერით, რაც ადგილობრივ კლიმატურ პირობებში გამოუსადეგარია. ბეტონით არის გადახურული ზნაურის სასკოლო ინტერნატი, ჩამოდის წყალი და კედლები დაზიანებულია. ანალოგიური მდგომარეობა არის ცხინვალის, ახალქალაქის რაიონებში.

შეგუებულ და დაქირავებულ შენობებში მოთავსებული სასკოლო ინტერნატები საერთოდ მოკლებულნი არიან ელემენტარულ საცხოვრებელ პირობებს. აქვთ მხოლოდ საძილე ოთახები, სადაც ძალზედ მჭიდროდ არის განლაგებული საწოლები, რის გამოც არ არის დაცული საწოლი ოთახის ფართობის ნორმატივები. მაგალითად, მესტიის რაიონის სასკოლო ინტერნატებში თითოეულ ბავშვზე 3—4 კვ. მ ნაცვლად მოდის 2—2,5 კვ. მ. ფართობი, ხოლო ჭველიერში (ლენტეხის

რაიონი) — 1,6 კვ. მ. ანალოგიური მდგომარეობაა ბორჯომის, ქარელის, ჯავის, ამბროლაურის, გორის (ბოშური), კასპის რაიონებში. თიანეთის რაიონის სიონის სასკოლო ინტერნატს კი დაკეტილი აქვს რამოდენიმე ოთახი, რის გამოც არ არის დაცული ნორმატივები. ამასთან, არ აქვთ სასადილო, თვითმომზადებისა და დასასვენებელი ოთახები.

ბევრ სასკოლო ინტერნატს არ გააჩნია საკმაო რაოდენობით პირსაბნები (საგარეჯოს, ლავოდეხის, ცაგერის, ზნაურის, ონისა და სხვ. რაიონები). არის შემთხვევები, როდესაც ერთი პირსაბნით სარგებლობს 10—15 ბავშვი, ხოლო ქედის რაიონის ცხმორისის სასკოლო ინტერნატში ერთი პირსაბნით სარგებლობს 28 ბავშვი. რიგ სასკოლო ინტერნატში პირსაბნები მოწყობილი აქვთ ეზოში ღია ცის ქვეშ, ან სარგებლობენ ეზოს ონკანით, რომელთა გამოყენება შეუძლებელია ზამთრისა და უამინდობის პირობებში.

მოუწესრიგებელია სასკოლო ინტერნატების ეზო-გარემო. მესტიის რაიონში მთელი რიგი სასკოლო ინტერნატის ეზო არ არის შემოღობილი. ანალოგიური მდგომარეობა არის ჯავისა და ახალქალაქის სასკოლო ინტერნატებში.

აღნიშნულ ნაკლოვანებათა გამო სასკოლო ინტერნატები მუშაობენ დატვირთვის გარეშე და სისტემატურად ვერ ასრულებენ მოსწავლეთა კონტინგენტის გეგმიურ დავალებებს. უმეტეს შემთხვევაში მათი დატვირთვა არ აღემატება 50 პროცენტს. ამ დროს კი რესპუბლიკაში 3611 ბავშვი საჭიროებს სასკოლო ინტერნატში მოთავსებას.

მაგალითად, მესტიის რაიონის სასაშის, ყახუნდარის, ჩიხარეშის ჩოლურისა და ხოფურის სასკოლო ინტერნატები ვერ ასრულებენ მოსწავლეთა კონტინგენტის გეგმიურ დავალებებს იმის გამო, რომ აღნიშნული ინტერნატების 1-ელ სართულზე შესახლებულია საბავშვო ბაღები. ანალოგიური მდგომარეობა არის ჯგალის სასკოლო ინტერნატში.

წულუკიძის რაიონის გორდის სასკოლო ინტერნატში 52 ბავშვის ნაცვლად ცხოვრობს 19 ბავშვი. ინტერნატი მოთავსებულია შეგუებულ შენობაში (მასწავლებლის სახლი), რაც ვერ აკმაყოფილებს მოთხოვნებს, ხოლო თვით სკოლის ძველი შენობა, რომელიც ახალი შენობის ჯვერდითაა, უჭირავს გორდის მეცხოველეობის საბჭოთა მეურნეობის კანტორას. ვანათლების ადგილობრივი ორგანოები მოითხოვენ აღნიშნული შენობის სკოლის განკარგულებაში დაბრუნებას, მაგრამ საკითხი

დადებითად ვერ გადაწყდა. დუშეთის რაიონის მაღაროსკარის, ანალოგური მდგომარეობა აღინიშნება სხვა სასკოლო ინტერნატებში.

არის ისეთი შემთხვევებიც, როდესაც სასკოლო ინტერნატები გადატვირთულია. თეთრიწყაროს რაიონის მანგლისის სასკოლო ინტერნატში ნაცვლად 60 მოსწავლისა ცხოვრობს 92, ზღუდერში (ქარელის რაიონი) 46-ის ნაცვლად ცხოვრობს 56 ბავშვი. ბოშუთის სასკოლო ინტერნატის I კორპუსი გათვალისწინებულია 25 ბავშვზე, ფაქტიურად ცხოვრობს 53, ხოლო II კორპუსში 15-ის ნაცვლად — 25.

არის შემთხვევები, როდესაც ფართის სიციწროვისა და საწოლების უქონლობის გამო ერთი საწოლით სარგებლობს ორი ბავშვი. მაგალითად, წალკის რაიონის ხაჩკოვისა და გუმბათის სასკოლო ინტერნატებში 36 ბავშვი სარგებლობს 22 საწოლით, გორის რაიონის საყავარიის სასკოლო ინტერნატში 30 ბავშვი სარგებლობს 19 საწოლით. ანალოგური მდგომარეობა აღინიშნა მესტიის (ფარი, ეცერი, ლახამული, ნაკრი, ჭუბერი), ქარელის (გვერძინეთი), ლენტეხის (ჭველიერი), წულუკიძის (გორდი) რაიონების სასკოლო ინტერნატებში. ცაგერის რაიონის ლასურიაშის სასკოლო ინტერნატში 17 აღსაზრდელიდან 12-ს აქვს საწოლი, ხოლო დანარჩენი 5 ბავშვი სარგებლობს ასაკეცი საწოლებით. შუახევის რაიონის შუახევისა და ოლადურის სასკოლო ინტერნატების 10 აღსაზრდელი დამეს ათევეს ნათესაებთან, ხოლო რიყეთის სასკოლო ინტერნატის 8 მოსწავლე ცხოვრობს კერძო ბინაში და იკვებება ინტერნატში.

მიუხედავად საჭიროებისა, მთელ რიგ სასკოლო ინტერნატებში არ ჩატარებულა რემონტი. უფრო მეტიც, 1980 წელს რიგ ინტერნატში საერთოდ არ ყოფილა გათვალისწინებული თანხა ამ სამუშაოებისათვის. მათხოვის (წულუკიძის რაიონი) სასკოლო ინტერნატი მოთავსებულია ტიპურ შენობაში, მაგრამ ავარიულ მდგომარეობაშია და საჭიროებს შეკეთებას, რის შესახებაც გასულ წელს იმსჯელა წულუკიძის რაისაბჭოს აღმასკომმა და მიიღო კიდევ შესაბამისი გადაწყვეტილება, მაგრამ დღემდე ამ მიმართებით არაფერი გაკეთებულა.

აღინიშნება ინტერნატში მოსწავლეთა ჩარიცხვის წესების დარღვევა. ჩარიცხვა, ძირითადად, ხდება არა მშობლის, არამედ თვით მოს-

წავლის განცხადების საფუძველზე, სახალხო განათლების განყოფილების მომართვის გარეშე და არც ბრძანებაა გაფორმებული.

აღსანიშნავია, რომ რიგი სასკოლო ინტერნატის მოსწავლეები ერთდროულად ირიცხებიან სკოლის გახანგრძლივებულ დღის ჯგუფში, რაც იწვევს გახანგრძლივებული დღის ჯგუფების ხელფასების ფონდის გადახარჯვას. ასეთი ფაქტები გამოვლინდა ლენტეხის რაიონის ჩოლუ-რის (9 მოსწავლე), სოფელ ბოლნისის (9 მოსწავლე), ამბროლაურის რაიონის ბუგეულის (6 მოსწავლე), წალკის რაიონის აშკალის (2 მოსწავლე) სასკოლო ინტერნატებში.

კვლავ მოუგვარებელი რჩება სასკოლო ინტერნატების მოსწავლეთა კვების ორგანიზაცია. ყველგან არ არის დაცული ნატურალური და ფულადი ნორმები. კვების რაციონში უმეტესად ჭარბობს ბურღულეული და მაკარონ-ვერმიშელი, მცირე კალორიული პროდუქტები. იშვიათად ლებულობენ ხორცს, თევზს, კვერცხს, ნატურალურ რძესა და რძის პროდუქტებს. რაციონიდან საერთოდ გამორიცხული აქვთ ხაჭო. შემოწმებისას მთელ რიგ სასკოლო ინტერნატში არ ქონდათ მიღებული კარაქი, ყველი და სხვ. პროდუქტები. განსაკუთრებით ხაზი უნდა გაესვას იმ გარემოებას, რომ მესაქონლეობის რაიონებშიც კი ინტერნატები არ ლებულობენ ნატურალურ რძეს, რაც გამოწვეულია იმით, რომ ინტერნატზე გაცემული რძე კოლმეურნეობას არ ეთვლება გეგმის შესრულებაში.

აღსანიშნავია, რომ რიგ სასკოლო ინტერნატში სამჯერადი კვების ნაცვლად ხშირად კვება ორჯერადი და ერთჯერადია. მაგალითად, ლენინ-გორის რაიონის სასკოლო ინტერნატებში სამჯერადი კვება აქვთ იმ ბავშვებს, რომლებიც გათავისუფლებულნი არიან კვების საფასურიდან, ხოლო ის, ვინც იხდის კვების საფასურის 50%-ს, იმყოფება ერთჯერად კვებაზე. მაგალითად, დადიანეთის სასკოლო ინტერნატში ირიცხება 12 ბავშვი, მათგან 3 ბავშვი განთავისუფლებულია კვების გადასახადისაგან და იკვებება სამჯერ, ხოლო 9 ბავშვი იხდის კვების საფასურის 50%-ს და იკვებება ერთჯერ. ანალოგიური მდგომარეობაა რაიონის სხვა ინტერნატებშიც. წალკის რაიონის აგრანლოს, კუშჩისა და აშკალის სასკოლო ინტერნატებში კვება ორჯერადია (სადილი, ვახშამი), ხოლო დილით იკვებებიან სახლიდან მოტანილი პროდუქტებით. არ არის ორგანიზებული კვება ხაჩკოვოს სასკოლო ინტერნატში, ხოლო გუმბათის ინ-

ტერნატმა მთლიანად გახარჯა ბიუჯეტით გათვალისწინებული თანხა. 1981 წლის 1 აპრილიდან ბავშვები აღარ ღებულობენ კვებას. ახალქალაქის რაიონში კი ბავშვები ღებულობენ მხოლოდ საუზმესა და სადილს, რადგანაც ყველა ბავშვი განთავისუფლებულია კვების საფასურიდან.

უნდა აღინიშნოს, რომ სასკოლო ინტერნატები არ ღებულობენ ნორმით გათვალისწინებულ პროდუქტებს. მაგალითად, ბორჯომის სასკოლო ინტერნატს (ხულოს რაიონი) 1980 წელს მიღებული აქვს რძე ნორმის 2,3%, ხორცი 61,5%, ხმელი ბოსტნეული 17,1%, აგარაში (ხულოს რაიონი) კარტოფილი—34,2%, რძე 7,8%; გომბორში (საგარეჯოს რაიონი)—კარაქი 55,5%, დადიანეთში (ლენინგორის რაიონი)—კარაქი 74,7%, ბოსტნეული 23,6%, ნაკრაში (მესტიის რაიონი) კარაქი — 12,5%, ხორცი — 23,6%, ანალოგიური მდგომარეობაა სხვა სასკოლო ინტერნატებშიც, ამასთან, რიგ სასკოლო ინტერნატში გახარჯული აქვს ნორმაზე მეტი პროდუქტები.

მოუწესრიგებელია რიგი სასკოლო ინტერნატის მომარაგების საკითხი. გუჯარეთის სასკოლო ინტერნატი (ბორჯომის რაიონი) პროდუქტებს იღებს ადგილობრივი მალაზიიდან, რომელიც ძალზედ ცუდად მარაგდება. წულუკიძის რაიონის კინჩხის სასკოლო ინტერნატის მომარაგება წარმოებს გორდის ინტერნატის ბაზაზე, რომელიც 7 კმ არის დაშორებული კინჩხიდან. ძეძილეთის სასკოლო ინტერნატი ნაწილი პროდუქტებით (პური, შაქარი) მარაგდება სოფლის მალაზიიდან, ხოლო კარაქით, ხორციითა და სხვა პროდუქტებით მას ამარაგებს რაიონული ცენტრის საზოგადოებრივი კვების ორგანიზაცია, რომელიც 18 კმ არის დაშორებული. ანალოგიური მდგომარეობაა მათხოჯისა და გორდის სასკოლო ინტერნატებში. ამასთან, მომარაგება დაკისრებული აქვს აღმზრდელს, რომელიც მთელ დღეს ანდომებს პროდუქტების შეძენას, ხშირ შემთხვევაში რჩება პროდუქტების გარეშე, ამ პერიოდში კი მის ნაცვლად ჯგუფში შედის რომელიმე მასწავლებელი, რაც ძალზედ უშლის ხელს აღმზრდელს თავისი უშუალო მოვალეობის შესრულების საქმეში და ყოველად გაუმართლებელია.

იმის გამო, რომ არ არის დაცული კვების ნატურალური ნორმები, აუთვისებელი რჩება კვებისათვის ბიუჯეტით გამოყოფლი თანხა. მოხის სასკოლო ინტერნატს (ადიგენის რაიონი) 1980 წელს ათვისებული აქვს კვებისათვის გამოყოფილი თანხის 42,0%, სონდისველში (დუშე-



თის რაიონი), რომელიც მუშაობს სეზონურად (მხოლოდ ზამთრის პერიოდში) — 46,7%, იმერხევი (ქარელის რაიონი) — 63,6%, ჩოლოქი (მესტიის რაიონი) — 37,4%, სასაში — 40%, ჩიხარეში — 45%, დმანისის რაიონში — 49,1%, ანალოგიური მდგომარეობაა სხვა ინტერნატებშიც.

1980 წელს თითოეულ მოსწავლეზე ნაცვლად 91 კაპიკისა დღიურად დაიხარჯა წალკის რაიონში 50 კაპ., ღუმეთის რაიონის სონდისველის სასკოლო ინტერნატში — 47 კაპ. ხეობასა და ჩარგალში შესაბამისად 54-58 კაპ. დანარჩენ სასკოლო ინტერნატებში თითოეულ ბავშვზე ყოველდღიურად საშუალოდ იხარჯება 81-88 კაპიკი. რიგ რაიონებს კი, პირიქით, გადახარჯვა აქვთ კოლმეურნეობების ხარჯზე.

აღსანიშნავია, რომ მოსწავლეთა კვების საფასურიდან განთავისუფლება სხვადასხვა რაიონში ხდება სხვადასხვა წესით. მაგალითად, აჭარის ასსრ, წალენჯიხის, გეგეჭკორის, მესტიის (ეცერი), გორის, ხაშურის რაიონების სასკოლო ინტერნატების აღსაზრდელები მთლიანად განთავისუფლებულნი არიან კვების საფასურიდან, რასაც იხდიან კოლმეურნეობები. ახმეტის (დუხისი), ქარელის (იმერხევი), ბორჯომის (ტაბაწყური) რაიონებში მშობლები უარს აცხადებენ კვების საფასურის გადახდაზე, რის გამოც საერთო თანხა განაწილებულია ყველა ბავშვზე და ამიტომ მათი დღიური ხარჯი შეადგენს 45—54 კაპ. ზოგან კი მოსწავლეები ყავთ ერთ-ორჯერად კვებაზე, იმ დროს როცა გამოუყენებელი რჩება საყოველთაო სწავლების ფონდი და საცდელ ნაკვეთსა და დამხმარე მეურნეობებში მიღებული პროდუქტი (გუჭარეთი, ზნაური, ამბროლაური, კასპი, ხაშური), რიგ ინტერნატს კი სულ არ გააჩნია ნაკვეთი. ჩოხატაურის რაიონში თითოეულ მოსწავლეზე დღეში იხარჯება 1 მან. და 28 კაპ. დმანისის რაიონში 1981 წლის იანვრიდან რაიგანყოფილებამ არ გასცა თანხა სასკოლო ინტერნატებზე, რის გამოც ბავშვები იკვებებოდნენ სახლიდან მოტანილი პროდუქტებით.


კასპის რაიონის ქვემოჭალის სასკოლო ინტერნატში კვების საფასურიდან ყოველთვიურად ანთავისუფლებენ ოთხ-ოთხ ბავშვს, ზოლო დანარჩენები იხდიან 50%. ასპინძის, ადიგენის რაიონის ბოლაჭურის სასკოლო ინტერნატებში ყველა ბავშვი რიგ-რიგობით თავისუფლდება კვების საფასურიდან 4 თვის მანძილზე. ორჯონიკიძის რაიონში ყველა მოსწავლე იხდის 50%. არის შემთხვევები, როდესაც მშობლები საერთოდ უარს აცხადებენ ბავშვების ინტერნატში კვებაზე.

არადამაკმაყოფილებელია სასკოლო ინტერნატების სასაფლაოების მატერიალური ბაზა, ჰერეთისკარის (ლაგოდეხის რაიონი) სასკოლო ინტერნატის სასაფლაოს ფართი 45 ბავშვზე შეადგენს 24 კვ. მ., ქარელის რაიონის ზღუდერის სასკოლო ინტერნატში თითო ბავშვზე მოდის 0,33 კვ. მ. 0,75 კვ. მ. ნაცვლად, რის გამოც კვება მიმდინარეობს ორ ცვლად, ანალოგიური მდგომარეობა არის ბოშურში. გვერძინეთის სასკოლო ინტერნატის სასაფლაო არ არის სათანადოდ აღჭურვილი. ლენტეხის რაიონის ჭველიერის, ლესემის, გორის რაიონის საყავრიისა და სხვა სასკოლო ინტერნატებს საერთოდ არ გააჩნიათ სასაფლაო და ბავშვები იკვებებიან საწოლ ოთახებში. კორინთის (ლენინგორის რაიონი) სასაფლაოს იატაკი მიწისაა და ნესტიანია. ხობის 1-ლ საშუალო სკოლასთან არსებული ინტერნატის მოსწავლეები ხელშეკრულებით სადილობენ რაიკომის სასაფლაოში, ხოლო დილით და საღამოთი იკვებებიან ინტერნატში.

სასკოლო ინტერნატები არ არის სათანადოდ აღჭურვილი მაგარი და რბილი ინვენტარით, არ არის დაცული რბილი ინვენტარის დადგენილი ნორმები. გომბორის სასკოლო ინტერნატს (საგარეჯოს რაიონი) აქვს ზედმეტი თეთრეული, 37 ბავშვზე აქვთ 160 ც. შალითა, ზეწარი—156, 135 ც. ბალიშის პირი, 53 ლეიბი, 101 საბანი, ხოლო საყავრიაში (გორის რაიონი), ახალსოფელში (კასპის რაიონი) გააჩნიათ მხოლოდ თითო ხელი თეთრეული, გორელოვკაში (ბოგდანოვკის რაიონი) 22 ბავშვზე აქვთ 2 ც. შალითა, 30 ც. ზეწარი, 30 ც. ბალიში, 2 ბალიშისპირი, 9 პირსახოცი, 29 ლეიბი. ზნაურის სასკოლო ინტერნატში აღსაზრდელებს აქვთ თითო ხელი პირსახოცი. არ ყოფნის თეთრეული ახალქალაქის № 3 სასკოლო ინტერნატს. ამ დროს კი მთელ რიგ რაიონებში რბილი ინვენტარისათვის გამოყოფილი თანხები აუთვისებელია ((ქარელის, ადიგენისა და სხვა რაიონები).

ჰერეთისკარის სასკოლო ინტერნატის თეთრეული შექმნილია 5 წლის წინათ და უკვე მოძველებულია, ანალოგიური მდგომარეობაა ფასანაურში (ღუშეთის რაიონი), ხოტევეში (ამბროლაურის რაიონი), საჭიროა რბილი ინვენტარის შეცვლა.

ამავე დროს რბილი ინვენტარი არ არის მარკირებული, ანუ თუ არის, არ აქვს აღნიშნული თარიღი, როდის გადაეცა ექსპლუატაციაში (ლაგოდეხის, საგარეჯოს, ქარელის, ზნაურის, წალკის, ბორჯომის, ახმეტის,



სამტრედის, ხაშურისა და სხვა რაიონები), ლორჯომში (ხულოს რაიონში) არ იყო მარკირებული ახლად შეტანილი თეთრეული, წონის რაიონში მარკირების ნაცვლად თეთრეულზე ამოქარგულია ასო „წ“.


მთელ რიგ სასკოლო ინტერნატს არ გააჩნია საწყობი რბილი ინვენტარისათვის. მაგალითად, ჰერეთისკარში თეთრეული ინახება სეიფში დირექტორთან, ნაწილი კი ძიძასთან ჭუჭყიან თეთრეულთან ერთად, ახალსოფელში (კასპის რაიონი) — სახლის პატრონთან.

მოუწესრიგებელია თეთრეულის რეცხვის საკითხი. ბევრგან არ ყავთ მრეცხავი და ჭუჭყიანი თეთრეული ირეცხება მოსწავლის ოჯახში (წონიარისი, მახუნცეთი (აჭარის ასსრ). თიანეთის რაიონის სიონის სასკოლო ინტერნატის თეთრეული ირეცხება სამრეცხაოში, მაგრამ ქვითარში არ არის აღნიშნული თეთრეულის სახეობა და რაოდენობა და არც დანომრილია.

მთელ რიგ სასკოლო ინტერნატს ესაჭიროება მაგიდები, ტუმბოები, კარადები, სკამები. გუდამაყრის (დუშეთის რაიონი) სასკოლო ინტერნატში მაგიდების, სკამებისა და ტუმბოების მოვალეობას ასრულებენ ძველი მერხები, რომლებიც საძინებელ ოთახებშია განლაგებული. ბევრ რაიონს ჩარიცხული აქვს თანხა მაგარი ინვენტარის შესაძენად, მაგრამ განათლების სამინისტროს მომარაგების მთავარი სამმართველო ვერ აკმაყოფილებს მათ მოთხოვნებს. ამასთან, ბევრგან მაგარი ინვენტარი მოუვლელი და დამტვრეულია.

სასკოლო ინტერნატები, ძირითადად, უზრუნველყოფილია პედაგოგიური კადრებით. უმეტეს შემთხვევაში აღმზრდელებს აქვთ უმაღლესი ან საშუალო სპეციალური განათლება, მაგრამ რიგ სასკოლო ინტერნატში აღმზრდელთა შერჩევა ხდება სათანადო ცოდნისა და უნარჩვევების გათვალისწინებლად. ხშირ შემთხვევაში აღმზრდელებად ნიშნავენ სამუშაოზე მოწყობის ან ხელფასის გაზრდის მიზნით. მაგალითად ლასურიაშის (ცაგერის რაიონი), ზაყორის (ლენინგორის რაიონი), ტაბაწყურის (ბორჯომის რაიონი) ორივე აღმზრდელი და სხვ.

სასკოლო ინტერნატებში აღმზრდელებად მუშაობენ საშუალო განათლების მქონე პირები. ხშირია შემთხვევა, როდესაც ერთ საშტატო ერთეულზე ინიშნება 2 აღმზრდელი 0,5 განაკვეთზე თითოეული. ჭველიერში (ლენტეხის რაიონი) 1,5 შტატზე დანიშნულია 2 აღმზრდელი 0,75 განაკვეთზე, ხოლო ყახუნდარასა და ჩინარეშში 3 აღმზრდელი თითოეული 0,5 განაკვეთზე. ამბროლაურის რაიონში 4,5 შტატზე და-



ნიშნულია 7 აღმზრდელი. უფრო მეტიც, წალკის რაიონის კუშიის და აგრანლოს ინტერნატებში აღმზრდელები დანიშნულია 0,25 კვადრატულ კმ-ზე.

ხშირ შემთხვევაში აღმზრდელებად და ძიებად ინიშნებიან მამაკაცები (წალკის, ქარელის, ახმეტის რაიონები). ამასთან, უმეტეს შემთხვევაში ჭარბობენ დაწყებითი კლასის სპეციალისტები, წალკის რაიონის კუშიის სასკოლო ინტერნატში აღმზრდელად მუშაობს ფიზიკური კულტურის მასწავლებელი, ხოლო ორჯონიკიძის რაიონის ბორითის სასკოლო ინტერნატის აღმზრდელს დამთავრებული აქვს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი. აღმზრდელთა კადრების ასეთი შერჩევა მიზანშეუწონელია.

შემოწმებით გამოვლინდა, რომ სასკოლო ინტერნატები ეფექტურად ვერ იყენებენ მათ განკარგულებაში არსებულ ყველა საშუალებებს. მათ სამუშაო გეგმებს აკლიათ კონკრეტულობა და ისინი ფორმითაც და შინაარსითაც იმეორებენ კლასის ხელმძღვანელის სამუშაო გეგმებს, არ არის გათვალისწინებული სპორტულ-გამაჯანსაღებელი ღონისძიებანი, სათანადო ყურადღება არ ეთმობა ინტერნატელთა მხატვრულ-შემოქმედებითი აღზრდისა და თავისუფალი დროის გამოყენების საკითხს. დაბალ დონეზე დგას სანიტარიულ-ჰიგიენური აღზრდა. მთელ რიგ სასკოლო ინტერნატში აღსაზრდელებს არ გააჩნიათ პირადი ჰიგიენის საგნები და თუ გააჩნიათ, არ იყენებენ.

აღმზრდელთა სუსტი მუშაობის შედეგია ის, რომ რიგ სასკოლო ინტერნატში დაბალია მოსწავლეთა აკადემიური მოსწრება. მაგალითად, ახმეტის რაიონის დუისის სასკოლო ინტერნატში 1-ელი სემეტრის ბოლოსათვის ვერ ასწრებდა მოსწავლეთა 46,4%, კვასში (ჯავის რაიონი) — 37,5% ლენინგორში № 2 — 26,4%, ჯავაში — 25,0%, მანგლისში (თეთრიწყაროს რაიონი) — 22,8%, ლენინგორის № 1 — 17,3%, ანალოგიური მდგომარეობა აღინიშნა ლაგოდეხის, ცაგერის, მესტიის, ხულოს, ქედის, შუახევისა და სხვა რაიონებში.

დაბალ დონეზე დგას ინტერნატელთა სამედიცინო მომსახურება. რიგ სასკოლო ინტერნატს საერთოდ არ უწევენ სამედიცინო მომსახურებას (ლაგოდეხის, საგარეჯოს, ქარელის, ცაგერის, ზნაურის, ჯავის, ლენინგორის, ბოლნისის, დმანისის, თეთრიწყაროს, მესტიის რაიონები). ჰერეთისკარის სასკოლო ინტერნატიდან ავადმყოფი ბავშვები გადაყავთ რაიონული ცენტრის საავადმყოფოში, რომელიც ინტერნატიდან 25 კმ

1984-1-4

კ. მარჯოს სახ. საქ. სსრ
სახელმწიფო რესპუბლიკა
ბიბლიოთეკა

არის დაშორებული. ზღუდერის (ქარელის რაიონი) სასკოლო ინტერნატს არ გააჩნია ტელეფონი, რომ საჭიროებისას დაუკავშირდეს ავადმყოფოს, რომელიც ასევე მოშორებითაა ინტერნატიდან.

არც რაისანეპიდსადგურები უთმობენ სათანადო ყურადღებას სასკოლო ინტერნატებს. შემოწმებისას ბევრგან აღმოჩნდა ჭუჭყიანი თეთრეული. ამასთან, არც შენობები და მათი მიმდებარე ტერიტორიები გამოიყურება სახარბიელოდ. გვერძინეთისა (ქარელის რაიონი) და კინჩხას (წულუკიძის რაიონი) სასკოლო ინტერნატებში სანეპიდსადგურებს ერთხელაც არ შეუშოვნებიათ დამზადებული კერძების კალორიულობა.

არავითარ დახმარებას არ უწევენ სასკოლო ინტერნატებს შეფი ორგანიზაციები. იშვიათად თუ უტარებენ სარემონტო სამუშაოებს. სხვა რაიმე დახმარება მათი მხრიდან არ არის.

სასკოლო ინტერნატების მუშაობაში არსებული ნაკლოვანებანი აიხსნება სკოლის დირექტორების სუსტი ხელმძღვანელობით (წალკის, თეთრიწყაროს, ბოლნისის რაიონები).

როგორც შემოწმების მასალებიდან ჩანს, სახალხო განათლების ადგილობრივი ორგანოები და სკოლების ხელმძღვანელები ჯერ კიდევ არ უთმობენ ჯეროვან ყურადღებას სასკოლო ინტერნატების მუშაობის პირობების გაუმჯობესებისა და ფინანსიური დისციპლინის დაცვის საკითხებს, სუსტად ერკვევიან მუშაობის ფორმებსა და მეთოდებში, არ იცნობენ საჭირო ნორმატიულ დოკუმენტებს, არ ახორციელებენ ყოველდღიურ ხელმძღვანელობასა და კონტროლს სასკოლო ინტერნატების მუშაობაზე.

სკოლების სამმართველო



**სახალხო განათლების მუშაკთა რესპუბლიკურ აქტივსა და ზონალურ
თათბირებზე გამოქმული კრიტიკული შენიშვნებისა და
წინადადებების შესახებ**

კოლეგია აღნიშნავს, რომ რესპუბლიკის ქალაქებსა და რაიონებში ორგანიზებულად ჩატარდა სახალხო განათლების მუშაკთა რესპუბლიკური აქტივი და ზონალური თათბირები, რომლებზედაც მოსმენილ და განხილულ იქნა საქართველოს სსრ განათლების მინისტრის ამხ.

ო. დ. ქინჭლასის მოხსენება „მე-11 ხუთწლედში რესპუბლიკის სახალხო განათლების სიტემის შემდგომი განვითარების ამოცანების შესახებ, გამომდინარე სკკპ 26-ე და საქართველოს კომპარტიის 26-ე ყრილობების გადაწყვეტილებებიდან“.

სახალხო განათლების მუშაკები ერთხლოვნად იწონებენ და მხარს უჭერენ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის 26-ე და საქართველოს კომპარტიის 26-ე ყრილობების ისტორიულ გადაწყვეტილებებს და მიიჩნევენ, რომ მათი განუხრელი და წარმატებით შესრულება რესპუბლიკის სახალხო განათლების თითოეული მუშაკის უპირველესი და უმნიშვნელოვანესი ამოცანაა.

როგორც მოხსენებაში, ისე კამათში გამოსულთა სიტყვებში საკმაო სიღრმით იყო გაანალიზებული მუშაობა, რომელიც განვილ პერიოდში ჩატარეს განათლების განყოფილებებმა, მათმა მეთოდურმა კაბინეტებმა, პედაგოგიურმა კოლექტივებმა სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესის სრულყოფის, მისი ეფექტიანობის ამაღლებისათვის, მოსწავლეთა იდეურ-პოლიტიკური და შრომითი აღზრდის, მწარმოებლურ შრომაში ჩაბმისათვის მათი მომზადებისა და პროფესიული ორიენტაციის სრულყოფა-გაუმჯობესებისათვის.

სახალხო განათლების მუშაკთა რესპუბლიკურ აქტივსა და ზონალურ თათბირებზე ხაზი გაესვა იმ გარემოებას, რომ რესპუბლიკის სკოლების პედაგოგიური კოლექტივების უმრავლესობამ წარმატებით გადაწყვიტა მოსწავლეთა აღზრდის ისეთი ძირითადი ამოცანები, როგორცაა მათში მეცნიერული მსოფლმხედველობისა და პოლიტიკური

შეგნებულობის ჩამოყალიბება, საზოგადოებრივი აქტიურობის განვითარება, შეგნებული დისციპლინისა და ქცევის მაღალი კულტურის შრომისა და საზოგადოებრივი საკუთრებისადმი კომუნისტური დამოკიდებულების, მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობის ფორმირება.

მოსხენებებსა და კამათში გამოსულთა სიტყვებში პრინციპული შეფასება მიეცა სასკოლო ცხოვრებაში, სასწავლო-აღმზრდელობით საქმიანობაში ჯერ კიდევ არსებულ ნაკლოვანებებსა და გამოითქვა კონკრეტული მოსაზრებანი მათი გამოსწორებისათვის.

კოლეგიამ გადაწყვიტა:

1. სახალხო განათლების მუშაკთა რესპუბლიკურ აქტივსა და ზონალურ თათბირებზე გამოთქმული შენიშვნებისა და კრიტიკული წინადადებების რეალიზაციის გეგმა დამტკიცდეს (თან ერთვის).

2. დაევალოთ განათლების სამინისტროს სამმართველოებსა და განყოფილებებს:

შეისწავლონ და გააანალიზონ შენიშვნები და წინადადებები, განახორციელონ პრაქტიკული ღონისძიებანი მათი შესრულების უზრუნველსაყოფად, პერიოდულად მიაწოდონ ინფორმაციები სახალხო განათლების განყოფილებებს შენიშვნებისა და წინადადებების რეალიზაციის მდგომარეობაზე, 1982 წლის პირველ კვარტალში კი განათლების სამინისტროს კოლეგიას.

3. კონტროლი აღნიშნული გადაწყვეტილების შესრულებაზე დაევალოს განათლების სამინისტროს სკოლების სამმართველოს (ამხ. კ. სუჯაშვილი).

კოლეგიის თავმჯდომარე,
მინისტრი

ო. ჰინჭლაძე

სახალხო განათლების მუშაკთა 1981 წლის მარტსა და აპრილში რესპუბლიკურ აქტივსა და ზონალურ თათბირებზე გამოთქმული კრიტიკული შენიშვნებისა და წინადადებების რელიზაციის გეგმა



№	ვინ წამოაყენა შენიშვნა, წინადადება	მოკლე შინაარსი	შემსრულებელი
1.	ქ. თბილისის განათლების სამმართველოს უფროსი ლ. ჩიქვაია	გადაჭრით უნდა აეკრძალოთ უმადლეს სასწავლებლებს სასწავლო პროგრამების გართულების გზით აბიტურიენტების გამოცდა მისილებ გამოცდებზე. მიზანშეწონილია უმადლესი სასწავლებლების საჯაროდ ბილეთები წინასწარ გამოქვეყნდეს საშუალო სკოლების ანალოგიურად.	სკოლების სამმართველო (კ. სუჯაშვილი)
2.	" "	დაუნდობელი ბრძოლა უნდა გამოცხადოს ფართული რეპეტიტორების მიხედვით პრაქტიკას, მის გამომწვევ მიზეზებს.	
3.	" "	სალამოს სკოლებში მუშა-ახალგაზრდობის მასობრივად ჩაბმის მიზნით წარმოებაში მისულ ახალგაზრდობას უნდა მოეთხოვოს ცნობა განათლების ტენზის შესახებ და ხელი შეეწყოს სწავლებაში ჩაბმებულად.	სალამოს სკოლების სამმართველო (გ. გუჭავჭავაძე)
4.	განათლების მუშაკთა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის თავმჯდომარე ლ. იოსელიანი	რიგი სკოლების მასწავლებელთა დიდი რიცხვი მუშაობს 0,5 განაკვეთზე ან კიდევ უფრო მცირე დატვირთვით, იმის გამო, რომ რესპუბლიკის რიგი სასოფლო საბჭოს აღმასკომები არ იჩენენ სათანადო პასუხისმგებლობას, ხოლო პროფკავშირის შესაბამისი რაიკომები და ადგილობრები კმაყოფილებიან ფაქტების უბრალო აღრიცხვით რესპუბლიკის ბევრ რაიონში შეუსრულებელი რჩება მთავრობის დადგენილებანი მასწავლებელთა კომუნალური მომსახურებისა და სხვა შეღავათების სფეროში. ბევრ რაიონში (თერჯოლა, მაიაკოვსკი, სვანეთი, გურჯაანი) დღემდე განათებისა და გათბობის ნორმებიც კი არ დაუმტკიცებიათ.	კ. დრების სამმართველო (ა. ვახანძე)



1	2	3	4
5.	განათლების მუშაკთა პროკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის თავმჯდომარე დ. იოსელიანი	სერიალური დაიდევებით, მთავარობის დადგენილებით არსებული შედეგათების გაუთვალისწინებლად ხორციელდება სოფლის მასწავლებელთა კომუნალური მომსახურება მარნეულის, ბოლნისის, ბოგდანოვის, დმანისის, ვარდანის, წალკისა და თეთრიწყაროს რაიონებში, რის გამოც ხშირია მასწავლებელთა სამართლიანი პრეტენზიები ადგილობრივი ხელმძღვანელების მიმართ.	კადრების სამმართველო (ბ. აფხაზაია)
6.	" "	წლების განმავლობაში ჰიანტრდება წყაროს სკოლა-ინტერნატის მასწავლებელთა საცხოვრებელი სახლის მშენებლობა, რის გამოც მასწავლებლებს ცხოვრების მეტად მძიმე პირობები აქვთ.	კაპიტალური მშენებლობის სამმართველო (ბ. აფხაზაია)
7.	თბილისის ლენინის რაიონის სკოლამდელი აღზრდის ინსპექტორი ნ. გორდენიანი	მეზღვდავად იმისა, რომ ლენინის რაიონის განათლების განყოფილებაში აღრიცხვაზე იმყოფება სკოლამდელი აღზრდის 40-მდე დროებით უმუშევარი სპეციალისტი, აღმზრდელებად ინიშნებიან არასპეციალისტები, საშუალო განათლების მქონე პირები.	კადრების სამმართველო (ა. ვაჩნაძე)
8.	" "	ლენინის რაიონის 4-5 საბავშვო დაწესებულებას მხოლოდ ერთი ავტომანქანა ემსახურება, რაც იწვევს საბავშვო ბავაბალისათვის კვების პრობლემების დაგვიანებით მიწოდებას. საქირთა ტრანსპორტის რაოდენობრივი ვაზრდა იმ ვარაუდით, რომ ორ სკოლამდელ დაწესებულებას ერთი ავტომანქანა მაინც მოეხმასუროს.	სკოლამდელი აღზრდის სამმართველო (გ. აბაშვილი)
9.	აჭარის ასსრ განათლების მინისტრი ვ. წულუკიძე	აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში 28 სასკოლო ინტერნატიდან 14 აჯარიულ მდგომარეობაშია ან სრულიად შეუფერებელ შენობაშია მოთავსებული. არადამაკმაყოფილებელია სასკოლო ინტერნატების კვების პრობლემებით მომარაგება. ვერ ღებულობენ კარტოფილს, ხახვს, რძეს და სხვა პროდუქტებს. შეფერხდება ხორცის მომარაგების მხრივაც.	კაპიტალური მშენებლობის სამმართველო და სკოლების სამმართველო (ბ. აფხაზაია, კ. სუჯაშვილი)
10.	აჭარის ასსრ განათლების მინისტრი ვ. წულუკიძე	აჭარის სკოლებში 5500 მოსწავლე საქირთებს ტრანსპორტით გადაყვანას, მაგრამ არც ერთ კოლმეურნეობასა და საბჭოთა მეურნეობას არა აქვს საშუალება ამ დანიშნულებით ტრანსპორტის გამოყოფისა. საქირთა გამოიყოს ავტობუსები მოსწავლეთა ტრანსპორტირებისათვის.	სკოლების სამმართველო (კ. სუჯაშვილი)



1	2	3	4
11.	" "	<p>რადიკალურ გადასინჯვას მოითხოვს პედაგოგიურ ინსტიტუტებში მიღების დაგეგმვა. აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკას აკლია დაწყებითი კლასების 60 მასწავლებელი. ბათუმის პედაგოგიური ინსტიტუტი კი ყოველწლიურად 15—20 დაწყებითი კლასის სპეციალისტს ამზადებს. ადრე აჭარაში 5 პედაგოგიური სასწავლებელი იყო და ყოველწლიურად 80-მდე სპეციალისტი მზადდებოდა. საჭიროა გაიზარდოს მისაღები კონტინგენტი ბათუმის პედაგოგიურ ინსტიტუტში.</p> <p>ანალოგიური მდგომარეობაა რუსული და უცხოური ენების სპეციალისტთა მხრივ. საჭიროა შეიქმნას მუშა კომისია, რომელიც ადგილზე გაარკვევს საკითხს და მიიღებს სათანადო გადაწყვეტილებას.</p>	<p>კადრების სამმართველო (ა. ვაჩნაძე)</p>
12.	" "	<p>დაზიანებულ სწავლების ტექნიკურ საშუალებათა შეკეთებისათვის საჭიროა შეიქმნას სახელწინო-ლაბორატორიები სამეურნეო ანგარიშში.</p>	<p>სკოლების სამმართველო (კ. სუჯაშვილი)</p>
13.	ბორჯომის განათლების განყოფილების გამგე ნ. ჩაღუნელი	<p>• ბორჯომის რაიონის სოფლის სკოლებში მინიმალური პირობები არ არის შექმნილი ახალგაზრდა სპეციალისტების დასამაგრებლად, რის გამოც წშირად არასპეციალისტები ასწავლიან. უკანასკნელი 5 წლის განმავლობაში რაიონში გამონაწილებული 27 ახალგაზრდა სპეციალისტიდან განაწილების ადგილზე დამაგრდა მხოლოდ ორი.</p> <p>სოფლის სკოლებში რიგ საგნებში გაკვეთილების სიმცირის გამო მიზანშეწონილია პედაგოგიურ ინსტიტუტებში სოფლის სკოლებისათვის შეიქმნას გაერთიანებული ფაკულტეტები: რუსული და უცხო ენის, გეოგრაფიისა და შრომითი სწავლების.</p>	<p>კადრების სამმართველო (ა. ვაჩნაძე)</p>
14.	ასპინძის რაიონის სოფელ ტოლოშის საშუალო სკოლის დირექტორი პ. ბერიძე.	<p>დაწყებითი კლასები ნუსხის მიხედვით ცუდად არიან უზრუნველყოფილი საჭირო თვალსაჩინოებით, საბაზო მალაზია და ბიბლიო-ლექტორი დაკვეთის გარეშე წლების განმავლობაში აგზავნიან ერთსა და იმავე საქონელს, რაზედაც იხარჯება ბიუჯეტით გათვალისწინებული მთელი თანხა.</p>	<p>შომარაგების მთავარი სამმართველო (კ. ძლივრიშვილი)</p>

1	2	3	4
15.	„ „	ასპინძის რაიონის ზოვიერთი სოფელი ახალქალაქის რაიონის სოფლების დონეზე მაღალია მდებარეობით, მაგრამ მასწავლებლები არ ღებულობენ ხელფასის 15%-ს დანამატს.	სავეგმო-საქონის მართველ (ფ. ვაჩნაძე)
16.	ახალციხის რაიონის განათლების გაყოფილების გამგე ვ. კობახიძე	მიზანშეწონილია სკოლის ხელმძღვანელ მუშაკთა კვალიფიკაციის კურსებზე გაგზავნა ძირითადად ხდებოდეს შევებულების პერიოდში.	კადრების სამმართველო (ა. ვაჩნაძე)
17.	ასპინძის რაიონის სოფელ ტოლოშის საშუალო სკოლის დირექტორი პ. ბუიძე აბანის რაიონის სოფელ სუჯუნის საშუალო სკოლის დირექტორი რ. ნაღარეიშვილი	სახელმძღვანელოების ტექნიკური დონე და ქალაქის ხარისხი აზღვნად დაბალია, რომ ნაცვლად 3-4 წლისა, ერთ წელსაც ძლივს ქვობენ. ამიტომ აუცილებელია საკითხი დაისვას პოლიგრაფიისა და განიკვეთილობის სახელმწიფო კომიტეტის წინაშე.	სახელმძღვანელოების სამმართველო (ნ. ღლონჯი)
18.	ზესტაფონის მე-2 საშუალო სკოლის დირექტორი გ. ალავეიძე	საჭიროა განათლების სამინისტრომ შეამოწმოს როგორ სრულდება სსრ კავშირის განათლების სამინისტროს და განათლების მუშაკთა პროფკავშირის ცენტრალური კომიტეტის დადგენილება „მასწავლებელთა და სკოლის სხვა მუშაკთა დროის ბიუჯეტის მოწესრიგების შესახებ“	სკოლების სამმართველო (ქ. სუჯაშვილი)
19.	ზესტაფონის მე-2 საშუალო სკოლის დირექტორი გ. ალავეიძე	უმალეს მასწავლებლებში მისაღები გამოცდები პრაქტიკოს მასწავლებელთა მიერ შედგენილი სავამოცდო ბილეთებით უნდა ტარდებოდეს, რითაც თავიდან იქნება აცილებული მათში არასაპროგრამო მასალის შეტანის შემთხვევები.	სკოლების სამმართველო (ქ. სუჯაშვილი)
20.	თელავის რაიონის ვანთის საშუალო სკოლის დირექტორი ნ. კიკვალიძე	საჭიროა გადაისინჯოს შრომითი სწავლების პროგრამა IV-VIII კლასებში, სადაც თუ კლასი არ იყოფა, გოგონებს გაიძულებთ ისწავლონ ვაჭებთან ერთად დურგლობა ან ზეინკლობა.	„ „
21.	გარდაბნის რაიონის განათლების გაყოფილების გამგე ზ. ზაქარეიძე	უნდა გაუმჯობესდეს აზერბაიჯანული სკოლების მასწავლებელთა კადრების კვალიფიკაციის საქმე.	კადრების სამმართველო (ა. ვაჩნაძე)
22.	წყალტუბოს ზონის სოფელ მუხიანის საშუალო სკოლის დირექტორი შ. ნიშნიანიძე	უნდა შემცირდეს სოფლის სკოლებიდან პროფესიულ-ტექნიკური განათლების სისტემის ქალაქის ტიპის მასწავლებლებში გასაგზავ-	სკოლების სამმართველო (ქ. სუჯაშვილი)

1	2	3	4
		<p>ნი კონტინგენტის გეგმა და შესაბამისად გაიზარდოს კონტინგენტის გეგმა ქალაქის სკოლებთან. ეს ხელს შეუწყობს ახალგაზრდობის სოფლად დამაგრებას.</p> <p>ამასთან შესწავლას მოითხოვს, ხდება თუ არა პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლის კურსდამთავრებულთა დასაქმება სპეციალობის მიხედვით.</p> <p>განათლების სამინისტროს მოძრავი სახელოსნო პერიოდულად უნდა მიდიოდეს სკოლებში მწყობრიდან გამოსულ სასწავლო-ტექნიკურ საშუალებათა შესაქეებლად.</p> <p>მასწავლებელთა დახელოვნების ცენტრალურმა ინსტიტუტმა შესამჩნევად უნდა გაზარდოს ტირაჟი მათ მიერ გამოცემული მეთოდური ლიტერატურისა.</p> <p>გადახედვა ესაჭიროება მასწავლებელთა წახალისების საქმეს. ხუთი წლის განმავლობაში ქალაქში მხოლოდ ხუთმა მიიღო „დამსახურებული მასწავლებლის“ წოდება.</p> <p>გაღრმავებულ შრომით სწავლებაზე გადასვლასთან დაკავშირებით ის სკოლები, სადაც ისწავლება ავტოსაქმე და ტრაქტორების მართვა, საჭიროებენ სათანადო ნაწილებით მომარაგებას.</p> <p>უჩივიან სკოლაწდელი და დაწყებითი კლასების ასაკის მასწავლებელთათვის შეუქმნებელი დეამ-ავეჯის უხარისხობას, უკმარისობას,</p>	<p>სკოლების სამმართველო (კ. სუჯაშვილი)</p> <p>მასწავლებელთა დახელოვნების ცენტრალური ინსტიტუტი (მ. დარჩია)</p> <p>კადრების სამმართველო (ა. ვაჩაძე)</p> <p>მომარაგების მთავარი სამმართველო (კ. ძლიერიშვილი)</p>
23.	<p>ლაგოდეხის რაიონის სოფელ ვარდისუბნის სკოლის დირექტორი ა. ჩხეიძე, ჩხოროწყუს რაიონის სოფელ მუხურის საშუალო სკოლის დირექტორი კ. ჩიქოვანი, ყაზბეგის რაიონის განათლების განყოფილების გამგე ი. ჩქარეული</p>		
24.	<p>ზესტაფონის მე-2 საშუალო სკოლის დირექტორი გ. ალაიძე</p>		
25.	<p>ქუთაისის განათლების განყოფილების გამგე ვ. ყავლაშვილი</p>		
26.	<p>სიღნაღის რაიონის განათლების განყოფილების გამგე ა. ბეჟაშვილი</p>		
27.	<p>სიღნაღის რაიონის განათლების განყოფილების გამგე ა. ბეჟაშვილი, ყაზბეგის რაიონის განათლების განყოფილების გამგე ი. ჩქარეული, ახალციხის განათლების განყოფილების გამგე</p>		



1	2	3	
	ელ. კობაძე, ცაგერის რაიონის მეთოდკაბინეტის გამგე ლ. ჩიქოვანი		
28.	ზუგდიდის რაიონის სოფელ რუხის საშუალო სკოლის დირექტორი ვ. ნაჭყებია	მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტებში მასწავლებელთა გადამზადების დროს მეტი დრო უნდა დაეთმოს ტექნიკურ საშუალებათა გამოყენების სწავლებას.	კადრების სამმართველო (ა. ვაჩნაძე)
29.	ზუგდიდის რაიონის სოფელ რუხის საშუალო სკოლის დირექტორი ვ. ნაჭყებია	აუცილებელია სკოლის დირექტორების დროის ბიუჯეტის საკითხის მოგვარება (თათბირებსა და სხვა ინსტანციებზე დირექტორების სისტემატური გამოძახების აღკვეთა).	სკოლების სამმართველო (კ. სუჯაშვილი)
30.	ჩხოროწყუს რაიონის სოფელ მუხურის საშუალო სკოლის დირექტორი კ. ჩიქოვანი	ყველა სასწავლო ნივთი სერიულ გამოშვებამდე განხილული და დამტკიცებული უნდა იყოს განათლების სამინისტროს მიერ.	სახელმძღვანელოების სამმართველო (ნ. ლონტი)

ნორჩ მათემატიკოსთა 25-ე რესპუბლიკური ოლიმპიადის
შედეგებისა და 26-ე რესპუბლიკური ოლიმპიადის
ჩატარების ღონისძიებათა შეხსენება

25-ე რესპუბლიკური ოლიმპიადის სასკოლო ტურში მონაწილეობა მიიღო 5331-მა მოსწავლემ, მათ შორის 1510-მა სოფლის სკოლებიდან; საქალაქო (სარაიონო) ოლიმპიადებზე — 2609 მოსწავლემ, მათ შორის 1237 იყო სოფლის სკოლებიდან, ზონალურ ოლიმპიადებზე — 1596-მა მოსწავლემ. მათგან 814 სოფლის სკოლებიდან, რესპუბლიკურ ოლიმპიადაზე კი მონაწილეობდა 215. მოსწავლე, გაიმარჯვა და I, II, III ხარისხის სიგელებით დაჯილდოვდა 63 მოსწავლე.

1980—1981 სასწავლო წელს სკოლებმა სერიოზული მუშაობა ჩატარეს მათემატიკის სასკოლო, საქალაქო (სარაიონო), ზონალური და რესპუბლიკური ოლიმპიადისათვის მოსწავლეთა მოსამზადებლად, რის შედეგად მათ მიერ ოლიმპიადებზე წარგზავნილმა მოსწავლეებმა სასურველ შედეგებს მიაღწიეს.

რესპუბლიკური ოლიმპიადის დასკვნით ტურზე კარგი შედეგები გამოავლინეს ვ. მ. კომაროვის სახელობის თბილისის და ქ. ქუთაისის ფიზიკა-მათემატიკური საშუალო სკოლა-ინტერნატის, ქ. თბილისის 42-ე, ქ. ფოთის მე-4, ვარდახნის რაიონის სოფელ ყარაჯალას საშუალო სკოლების მოსწავლეებმა.

რესპუბლიკური ოლიმპიადის დასკვნით ტურზე ვ. მ. კომაროვის სახელობის ქ. თბილისის ფიზიკა-მათემატიკური საშუალო სკოლა-ინტერნატის 26-მა მოსწავლემ გაიმარჯვა და I, II და III ხარისხის სიგელები დაიმსახურა. ჩვენი რესპუბლიკიდან მე-10 საკავშირო ოლიმპიადებზე გაგზავნილი მოსწავლეებიდან ორმა გაიმარჯვა.

ზემოაღნიშნულ წარმატებებთან ერთად, ოლიმპიადისათვის მზადების, მისი ჩატარების ორგანიზაციისა და რესპუბლიკურ ტურზე გასაგზავნი სათანადო კონტინგენტის შერჩევის საქმეში ჯერ კიდევ შეინიშნება სერიოზული ნაკლოვანებანი, ვლინდება, რომ სკოლებში სათანადო სიმაღლეზე არ დგას მათემატიკის საგნობრივი წრეების მუშაობა, წრის სხდომებზე ნაკლები ყურადღება ექცევა საოლიმპიადო ხა-



სიათის ამოცანებისა და მაგალითების გადაწყვეტას, რა ეწყობა მათი მათემატიკური ვიქტორინები, არ გამოდის კედლის გაზეთები და სხვა, ამის შედეგია, რომ დასკვნით ტურზე მოსწავლეთა საკმაო ნაწილმა დაბალი მომზადება გამოავლინა.

აჭარის ასსრ სკოლებიდან რესპუბლიკურ ტურზე დაშვებული 18 მოსწავლიდან მხოლოდ ერთმა გაიმარჯვა, 5-მა 0, და 7-მა 1 და 2 ქულა მიიღო, ქ. ჭიათურის სკოლების 9 მოსწავლიდან 4-მა 0, 5-მა კი 1 და 2 ქულა დაიმსახურა, დაბალი მომზადება გამოავლინეს, აგრეთვე, ახალქალაქისა და ამბროლაურის რაიონების სკოლებიდან მოსულმა მოსწავლეებმა, ნამუშევრების ანალიზიდან ირკვევა, რომ აღნიშნული სკოლების მოსწავლეებს უჭირთ მათემატიკური გარდაქმნების სწორად შესრულება, ლოგიკური ამოცანების ამოხსნა, მათმა გარკვეულმა ნაწილმა ვერ შესძლო სტანდარტული მაგალითების მსგავსი მაგალითების გადაწყვეტა, ზერელე და არამკვიდრი ცოდნა გამოავლინეს ორცვლადიან განტოლებათა სისტემის, განტოლებათა სისტემის ტოლფასობის, მოდულის შემცვლელ გამოსახულებათა იგიურ გარდაქმნებისა და სხვა საკითხების მიმართ.

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. 25-ე რესპუბლიკურ ოლიმპიადში მოპოვებული წარმატებებისათვის დაჯილდოვდეს 63 მოსწავლე, მათ შორის I ხარისხის სიგელით — 2, II ხარისხის სიგელით — 6, III ხარისხის სიგელით — 55.

2. 26-ე რესპუბლიკური ოლიმპიადის სასკოლო ტური ჩატარდეს 1981 წლის დეკემბერში, რაიონული (საქალაქო)—1982 წლის იანვარში, ზონალური 1982 წლის 14 თებერვალს, რესპუბლიკური 1982 წლის 26-27 მარტს, სასკოლო და რაიონული (საქალაქო) ტურის ზუსტი თარიღი განისაზღვროს შესაბამის განათლების განყოფილებათა მიერ, სასკოლო, რაიონული (საქალაქო) და ზონალური ტურის ჩატარების ვადების შესახებ სათანადო ცვლილება შეტანილ იქნას ნორჩ მათემატიკოსთა რესპუბლიკური ოლიმპიადის დებულების მე-3 მუხლში.

3. ნორჩ მათემატიკოსთა 26-ე რესპუბლიკური ოლიმპიადის ხელმძღვანელობისათვის დამტკიცდეს რესპუბლიკური საორგანიზაციო კომიტეტი შემდეგი შემადგენლობით:

1. ჭანტურია ზ. ა. — თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამოყე-

- ნებიითი მათემატიკის ინსტიტუტის უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი, მათემატიკურ მეცნიერებათა დოქტორი (თავმჯდომარე)
2. გიორგობიანი გ. გ. — საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს სასკოლო ინსპექტორი (თავმჯდომარის მოადგილე)
 3. მუსერიძე ლ. ლ. — ვ. კომაროვის სახელობის თბილისის ფიზიკა-მათემატიკური საშუალო სკოლა-ინტერნატის მასწავლებელი (მდივანი)
 4. ღარიბაშვილი რ. შ. — საქართველოს ალკა ცენტრალური კომიტეტის მოსწავლე ახალგაზრდობისა და პიონერთა შორის მუშაობის განყოფილების გამგე
 5. თოფურია ს. ბ. — ვ. ი. ლენინის სახელობის საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის მათემატიკის კათედრის გამგე, პროფესორი
 6. ბალაბანოვი ი. შ. — პუშკინის სახ. თბილისის პედაგოგიური ინსტიტუტის მათემატიკის კათედრის გამგე
 7. ლომსიანიძე ზ. ა. — საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს სკოლების სამმართველოს უფროსის მოადგილე
 8. ოვანანიანი რ. დ. — საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს მასწავლებელთა დახელოვნების ცენტრალური ინსტიტუტის მათემატიკის მეთოდური კაბინეტის გამგე
 9. ერაძე გ. — საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს სასკოლო მეთოდური ცენტრის განყოფილების გამგე
 10. ლავგილავა ე. ლ. — თბილისის სახალხო განათლების სამმართველოს სასკოლო ინსპექტორი
 11. დილდაროვა ს. კ. — განათლების სამინისტროს სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის სამმართველოს მთავარი სპეციალისტი
 12. ცხადაია ა. ლ. — ვ. მ. კომაროვის სახელობის თბილისის ფიზიკა-მათემატიკური სკოლა-ინტერნატის დირექტორი
 13. გოლოძე ლ. ა. — საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს მეთოდური ცენტრის მეთოდისტი
 14. ხარაბაძე ვ. გ. — მცხეთის რაიონის განათლების განყოფილების გამგე
 15. მოშაშვილი რ. ს. — თბილისის 42-ე საშუალო სკოლის მასწავლებელი
4. დაევალოს რესპუბლიკურ საორგანიზაციო კომიტეტს, უხელმძღვანელოს ოლიმპიადის მომზადება-ჩატარებას, პერიოდულად შეა-

მოწმოს ოლიმპიადისათვის მზადების საკითხი, ჩაატაროს მოსწავლეების მზადების მუშაობა.

5. აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განათლების მინისტრებმა, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, ქალაქებისა და რაიონების განათლების განყოფილებათა გამგეებმა, ქალაქ თბილისის სახალხო განათლების სამმართველომ:

ა) უზრუნველყონ მათემატიკის 25-ე რესპუბლიკური ოლიმპიადის შედეგების განხილვა მათემატიკის მასწავლებელთა სექციების სხდომებზე;

ბ) უფრო მასიური გახადონ სასკოლო, სარაიონო (საქალაქო) ზონალურ ოლიმპიადებში მოსწავლეთა მონაწილეობა, რისთვისაც ჯეროვანი ყურადღება მიაქციონ კლასგარეშე მუშაობას, ფაკულტატური და გადრმაგებული სწავლების შემდგომი გაუმჯობესების საქმეს.

6. საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს საგეგმო-საფინანსო სამმართველომ (ამხ. ო. კერესელიძე), ვ. მ. კომაროვის სახელობის თბილისის ფიზიკა-მათემატიკურ საშუალო სკოლა-ინტერნატს 1982 წლისათვის გამოუყოს საჭირო თანხა ოლიმპიადის ჩასატარებლად.

7. საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს მომარაგებისა და დამზარე საწარმოთა მთავარმა სამმართველომ (ამხ. კ. ძლიერიშვილი) ვ. მ. კომაროვის სახელობის თბილისის ფიზიკა-მათემატიკურ საშუალო სკოლა-ინტერნატს გამოუყოს ოლიმპიადის ჩასატარებლად საჭირო ქალაქი.

8. ოლიმპიადაზე გამარჯვებული მოსწავლეები, გარდა დაწესებული I, II, III ხარისხის სიგელებისა, დაჯილდოვდნენ წიგნებით, საჭირო ხარჯები გათვალისწინებულ იქნას ოლიმპიადის ჩატარების ხარჯთაღრიცხვაში.

9. აწ ბრძანების შესრულებაზე კონტროლი დაევალოს სკოლების სამმართველოს უფროსს ამხ. კ. სუჯაშვილს.

საფუძველი: საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1981 წლის 17 ივნისის კოლეგიის გადაწყვეტილება.

მინისტრი

მ. ქინქლაძე



დ ე ზ უ ლ ე ბ ა

ნორჩ მათემატიკოსთა რესპუბლიკური ოლიმპიადისა

1. ნორჩ მათემატიკოსთა რესპუბლიკურ ოლიმპიადას ატარებს საქართველოს სსრ განათლების სამინისტრო თბილისის ვ. მ. კომაროვის სახელობის ფიზიკა-მათემატიკური საშუალო სკოლა-ინტერნატის ბაზაზე და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ა. რაზმაძის სახელობის მათემატიკის, ვ. ი. ლენინის სახელობის საქართველოს პოლიტექნიკური და ა. ჰუშკინის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტების მონაწილეობით ყოველწლიურად, სექტემბრიდან აპრილამდე.

2. ოლიმპიადა მიზნად ისახავს, გააღრმავოს მოსწავლეთა მიერ სკოლაში მიღებული ცოდნა მათემატიკაში, გამოავლინოს ნიჭიერი მოსწავლეები, დაეხმაროს სკოლაში მათემატიკის სწავლებას, საწრეო მუშაობას და ამით ხელი შეუწყოს ამ საგანში მოსწავლეთა კულტურის ამაღლებას.

3. ნორჩ მათემატიკოსთა რესპუბლიკური ოლიმპიადა ტარდება ოთხ ტურად: 1-ლი — სასკოლო, მე-2 — რაიონული, (საქალაქო), მე-3 — ზონალური, მე-4 — რესპუბლიკური.

1-ლი ტური ტარდება სკოლაში, მე-2 — რაიონის (ქალაქის) ცენტრში, მე-3 — ზონალური ტური — ზონის ცენტრში, მე-4 — რესპუბლიკური — თბილისში. სასკოლო და რაიონული (საქალაქო) ტური ტარდება დეკემბერ-იანვარში, ზონალური — თებერვალში, რესპუბლიკური — მარტის ბოლოს (არდადეგების პერიოდში).

4. სასკოლო ოლიმპიადაში მონაწილეობის მიღება, მასწავლებელთა რეკომენდაციით, შეუძლიათ რეაწლიანი და საშუალო სკოლების, სკოლა-ინტერნატების, საბავშვო სახლების IV—X (XI), ხოლო რაიონულ (საქალაქო) ზონალურ და რესპუბლიკურ ოლიმპიადებში — VIII—X (XI) კლასების მოსწავლეებს და აღსაზრდელებს.

5. ოლიმპიადის ხელმძღვანელობისათვის იქმნება:



ა) რესპუბლიკური საორგანიზაციო კომიტეტი, რომელსაც ცენტრად გამოყოფილი ქალაქებისა და რაიონების განათლების განყოფილებებთან; ზონალური კომიტეტის შემადგენლობაში შევლენ სპეციალისტები ზონის ცენტრიდან და, აგრეთვე, ზონაში შემავალი რაიონებიდან.

ბ) ზონალური კომიტეტები — ზონის ცენტრად გამოყოფილი ქალაქებისა და რაიონების განათლების განყოფილებებთან; ზონალური კომიტეტის შემადგენლობაში შევლენ სპეციალისტები ზონის ცენტრიდან და, აგრეთვე, ზონაში შემავალი რაიონებიდან.

ზონალური კომიტეტების შემადგენლობას ამტკიცებს ზონის ცენტრის განათლების განყოფილების გამგე;

გ) რაიონული (საქალაქო) საორგანიზაციო კომიტეტები, რომელთა შემადგენლობას განსაზღვრავენ და ამტკიცებენ რაიონის (ქალაქის) განათლების განყოფილებათა გამგეები;

დ) სასკოლო საორგანიზაციო კომიტეტები, რომელთაც ამტკიცებენ სკოლის დირექტორები;

ე) რესპუბლიკური საორგანიზაციო კომიტეტი ქმნის ყოველწლიურ 11-15 კაცის შემადგენლობით, ყოველი ადგენს ამოცანებს, ამოწმებს მოსწავლეთა ნამუშევრებს და გამოყოფს გამარჯვებულებს.

6. ზონალური ტურის ჩასატარებლად რესპუბლიკა დაყოფილია 30 ზონად, ზონების ცენტრებად მიჩნეულია:

1. ქ. თბილისი — ქ. თბილისის სკოლების მოსწავლეებისათვის
2. ქ. სოხუმი — აფხაზეთის ასსრ სკოლების მოსწავლეებისათვის
3. ქ. ბათუმი — აჭარის ასსრ სკოლების მოსწავლეებისათვის
4. ქ. ცხინვალი — სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სკოლების მოსწავლეებისათვის
5. ქ. რუსთავი — ქ. რუსთავის, გარდაბნის რაიონის სკოლების მოსწავლეებისათვის
6. ქ. ქუთაისი — ქ. ქუთაისის, ტყიბულის, წყალტუბოს, მიაკოვსკის, რაიონების სკოლების მოსწავლეებისათვის
7. ქ. სამტრედია — სამტრედიის, ვანის, წულუკიძის რაიონების სკოლების მოსწავლეებისათვის
8. ქ. ზესტაფონი — ზესტაფონის, თერჯოლის, ორჯონიკიძის რაიონების სკოლების მოსწავლეებისათვის
9. ქ. ფოთი — ქ. ფოთის სკოლების მოსწავლეებისათვის
10. ქ. ცხაკაია — ცხაკაიის, აბაშის, ჩხოროწყუს, გეგეჭკორის რაიონების სკოლების მოსწავლეებისათვის



11. ქ. ზუგდიდი — ქ. ზუგდიდის, ხობის, წალენჯიხის რაიონების სკოლების მოსწავლეებისათვის
12. ქ. ჭიათურა — ჭიათურის, საჩხერის რაიონების სკოლების მოსწავლეებისათვის
13. ქ. გორი — ქ. გორის, ქარელის, ხაშურის, ბორჯომის რაიონების სკოლების მოსწავლეებისათვის
14. ქ. მცხეთა — მცხეთის, კასპის, დუშეთის რაიონების სკოლების მოსწავლეებისათვის
15. ქ. ახალციხე — ახალციხის, ადიგენის, ასპინძის რაიონების სკოლების მოსწავლეებისათვის
16. ქ. ახალქალაქი — ახალქალაქის, ბოგდანოვკის რაიონების სკოლების მოსწავლეებისათვის
17. ბოლნისი — ბოლნისის, დმანისის, მარნეულის რაიონების სკოლების მოსწავლეებისათვის
18. თეთრიწყარო — თეთრიწყაროს რაიონის სკოლების მოსწავლეებისათვის
19. ქ. თელავი — თელავის, ახმეტის, ყვარლის რაიონების სკოლების მოსწავლეებისათვის
20. ქ. გურჯაანი — გურჯაანის, სიღნაღის, წითელწყაროს, ლაგოდეხის, საგარეჯოს რაიონების სკოლების მოსწავლეებისათვის
21. ქ. მახარაძე — მახარაძის, ლანჩხუთის, ჩოხატაურის რაიონების სკოლების მოსწავლეებისათვის
22. ამბროლაური — ამბროლაურის რაიონის სკოლების მოსწავლეებისათვის
23. მესტია — მესტიის რაიონის სკოლების მოსწავლეებისათვის
24. ცაგერი — ცაგერის რაიონის სკოლების მოსწავლეებისათვის
25. ონი — ონის რაიონის სკოლების მოსწავლეებისათვის
26. ყაზბეგი — ყაზბეგის რაიონის სკოლების მოსწავლეებისათვის
27. წალკა — წალკის რაიონის სკოლების მოსწავლეებისათვის
28. ლენტეხი — ლენტეხის რაიონის სკოლების მოსწავლეებისათვის
29. თიანეთი — თიანეთის რაიონის სკოლების მოსწავლეებისათვის
30. ქ. თბილისი — რკინიგზის სკოლების მოსწავლეებისათვის

7. რაიონული (საქალაქო) ტურის კანდიდატებს სასკოლო ტურში გამარჯვებულ მოსწავლეთაგან შეარჩევენ თვით სკოლები, რომელთა

შესახებაც სათანადო ცნობას უგზავნიან რაიონის (ქალაქის) განათლების განყოფილებას.



ზონალური ტურის კანდიდატებს რაიონულ (საქალაქო) ტურში გამარჯვებულ მოსწავლეთაგან შეარჩევენ რაიონული (საქალაქო) საორგანიზაციო კომიტეტები; ამ მოსწავლეთა სიებს, შემოწმებულს განათლების განყოფილების მიერ, 28 იანვრამდე უგზავნიან ზონის ცენტრის საორგანიზაციო კომიტეტს.

8. ზონის საორგანიზაციო კომიტეტი ასწორებს ზონალური ტურის წერით ნამუშევრებს და რესპუბლიკურ ტურში დასაშვებ კანდიდატთა ნამუშევრებს, სიებთან ერთად, 5 დღის ვადაში უდგენს რესპუბლიკურ საორგანიზაციო კომიტეტს, სადაც გადამოწმების შემდეგ მტკიცდება კლასების მიხედვით რესპუბლიკურ ტურზე დასაშვებ მოსწავლეთა სია და ამის შესახებ 10 დღით ადრე ეცნობება შესაბამისი რაიონის (ქალაქის) განათლების განყოფილებას, რომელიც უზრუნველყოფს სიაში მითითებულ მოსწავლეთა გამოცხადებას რესპუბლიკურ ტურზე მონაწილეობის მისაღებად. რესპუბლიკურ ტურზე კონკურსგარეშე დაშვებულნი იქნებიან, აგრეთვე, ჟურნალ „კვანტის კონკურსში“ „კვანტის ამოცანები“ — გამარჯვებულნი.

9. ნამუშევრები ფასდება ქულებით, თითოეული ამოცანის სწორი და რაციონალური გზით ამოხსნა შეფასდება ორი ქულით. იმ შემთხვევაში, როდესაც ამოცანის ან მაგალითის ამოხსნისას დაშვებულია უმნიშვნელო შეცდომები, მაგრამ შეინიშნება, რომ მოსწავლე ამჟღავნებს ამოცანასთან დაკავშირებული ძირითადი საკითხების ცოდნას, შეიძლება დაეწეროს 1,5, ერთი ან 0,5 ქულა. გამარჯვებულად ითვლება მოსწავლე, რომელმაც 10 შესაძლებლობიდან დააგროვა 5 ქულა მაინც.

10. სასკოლო, რაიონული (საქალაქო) ტურის ამოცანებს და მაგალითებს ადგენენ შესაბამისი საორგანიზაციო კომიტეტები, ზონალური და რესპუბლიკური ტურისას — რესპუბლიკური საორგანიზაციო კომიტეტი, ზონალური ტურისათვის დალუქული პაკეტი ამოცანებით და მაგალითებით ადგილზე ეგზავნება ზონის ცენტრის საორგანიზაციო კომიტეტს. პაკეტს ხსნის ზონის საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარე ტურის დაწყების წინ.

11. სასკოლო ტურში მონაწილე IV—VII კლასის მოსწავლეებს მიეცემათ ოთხ-ოთხი, ხოლო VIII—X (XI) კლასების მოსწავლეებს

ხუთ-ხუთი ამოცანა და მაგალითი, რომელთა ამოხნისათვის
IV—VII კლასების მოსწავლეთათვის განსაზღვრულია 3, VIII—X
(XI) კლასების მოსწავლეთათვის — 4 ასტრონომიული საათით.

რაიონულ (საქალაქო) ზონალურ და რესპუბლიკურ ტურებში
მონაწილე VIII—X (XI) კლასების მოსწავლეებს მიეცემათ ხუთ-ხუთი
ამოცანა და მაგალითი, ამოცანებისა და მაგალითების ამოხნისათვის
განსაზღვრულია 5 ასტრონომიული საათი.

12. რესპუბლიკურ ტურში გამარჯვებული მოსწავლე, რომელიც
10 შესაძლებლობიდან დააგროვებს 9 ან 10 ქულას, დაჯილდოვდება
I ხარისხის სიგელით, 7 ან 8 ქულას—II ხარისხის, 5 ან 6 ქულას—III
ხარისხის სიგელით.

იმ მოსწავლეთა მიმართ, რომლებიც ოლიმპიადებზე თავს ისახე-
ლებენ, სასურველია გამოყენებულ იქნას სხვადასხვა წამახალისებე-
ლი ღონისძიება (წიგნებით და სხვა ფასიანი საჩუქრებით დაჯილდოება,
პრესაში გამოქვეყნება, მადლობის გამოცხადება და სხვა).

13. რესპუბლიკური საორგანიზაციო კომიტეტი რესპუბლიკურ
ტურზე გამარჯვებულ მოსწავლეთაგან, არსებული ნორმების მიხედ-
ვით, შეარჩევს საკავშირო ოლიმპიადაზე მონაწილეობისათვის გასა-
გზავნ კანდიდატებს, რომელთაგანაც ქმნის გუნდს და ხელმძღვანე-
ლობს მათ მომზადებასა და გაგზავნას საკავშირო ოლიმპიადისათვის
აღნიშნულ ადგილზე.

14. რესპუბლიკური საორგანიზაციო კომიტეტი ოლიმპიადაში
გამარჯვებულებს დასაჯილდოებლად წარუდგენს საქართველოს სსრ
განათლების სამინისტროს.

ოლიმპიადის რესპუბლიკური საორგანიზაციო კომიტეტის
მისამართი: მამბნს, თბილისი—86, ვ.უა-ფშაველას პროსპექტი
40, ვ. კომაროვას სახელობის თბილისის ფიზიკა-მათემატიკუ-
რი საშუალო სკოლა-ინტერნატი

ნორჩ მათემატიკოსთა 25-ე რეკონსტრუქციური
ოლიმპიადაზე გამარჯვებულ მოსწავლეთა სია



დაჯილდოვდნენ I ხარისხის სიგელით

1. კორძაია კ. — ვ. მ. კომაროვის სახელობის თბილისის ფიზიკა-მათემატიკური საშუალო სკოლა-ინტერნატის მე-9 კლასის მოსწავლე
2. გიუნაშვილი ზ. — ვ. მ. კომაროვის სახელობის თბილისის ფიზიკა-მათემატიკური საშუალო სკოლა-ინტერნატის მე-10 კლასის მოსწავლე

დაჯილდოვდნენ II ხარისხის სიგელით

1. ეფრემიძე ლ. — ვ. მ. კომაროვის სახელობის თბილისის ფიზიკა-მათემატიკური საშუალო სკოლა-ინტერნატის მე-9 კლასის მოსწავლე
2. სუხიშვილი თ. — ვ. მ. კომაროვის სახელობის თბილისის ფიზიკა-მათემატიკური საშუალო სკოლა-ინტერნატის მე-9 კლასის მოსწავლე
3. კვიციანიძე მ. — ქუთაისის ფიზიკა-მათემატიკური საშუალო სკოლა-ინტერნატის მე-9 კლასის მოსწავლე
4. დოდობერიძე ი. — ფოთის მე-4 საშუალო სკოლის მე-10 კლასის მოსწავლე
5. აღანია ლ. — ვ. მ. კომაროვის სახელობის თბილისის ფიზიკა-მათემატიკური საშუალო სკოლა-ინტერნატის მე-10 კლასის მოსწავლე
6. ლეჟავა დ. — ვ. მ. კომაროვის სახელობის თბილისის ფიზიკა-მათემატიკური საშუალო სკოლა-ინტერნატის მე-9 კლასის მოსწავლე

დაჯილდოვდნენ III ხარისხის სიგელით

1. გოგუა დ. — ვ. მ. კომაროვის სახელობის თბილისის ფიზიკა-მათემატიკური საშუალო სკოლა-ინტერნატის მე-8 კლასის მოსწავლე
2. ჩხაიძე თ. — ვ. მ. კომაროვის სახელობის თბილისის ფიზიკა-მათემატიკური საშუალო სკოლა-ინტერნატის მე-8 კლასის მოსწავლე
3. აჯიაშვილი შ. — ვ. მ. კომაროვის სახელობის თბილისის ფიზიკა-მათემატიკური საშუალო სკოლა-ინტერნატის მე-8 კლასის მოსწავლე
4. აივაზოვი გ. — ვ. მ. კომაროვის სახელობის თბილისის ფიზიკა-მათემატიკური საშუალო სკოლა-ინტერნატის მე-8 კლასის მოსწავლე
5. სანაკოვეი ს. — ქ. ცხინვალის მე-6 საშუალო სკოლის მე-8 კლასის მოსწავლე
6. შარგოროდსკი ე. — თბილისის 42-ე საშუალო სკოლის მე-8 კლასის მოსწავლე

7. შარიქაძე გ. — ქუთაისის ფიზიკა-მათემატიკური საშუალო სკოლა-ინტერნატის მე-3 კლასის მოსწავლე
8. თოდუა გ. — ზუგდიდის მე-2 საშუალო სკოლის მე-8 კლასის მოსწავლე
9. დიღმელაშვილი ბ. — ვ. მ. კომაროვის სახელობის თბილისის ფიზიკა-მათემატიკური საშუალო სკოლა-ინტერნატის მე-9 კლასის მოსწავლე
10. მონასელიძე ი. — ვ. მ. კომაროვის სახელობის თბილისის ფიზიკა-მათემატიკური საშუალო სკოლა-ინტერნატის მე-9 კლასის მოსწავლე
11. ბერუაშვილი მ. — ვ. მ. კომაროვის სახელობის თბილისის ფიზიკა-მათემატიკური საშუალო სკოლა-ინტერნატის მე-9 კლასის მოსწავლე
12. ხვინგია ზ. — ვ. მ. კომაროვის სახელობის თბილისის ფიზიკა-მათემატიკური საშუალო სკოლა-ინტერნატის მე-9 კლასის მოსწავლე
13. შენგელია თ. — ვ. მ. კომაროვის სახელობის თბილისის ფიზიკა-მათემატიკური საშუალო სკოლა-ინტერნატის მე-9 კლასის მოსწავლე
14. იოსელიანი ლ. — ვ. მ. კომაროვის სახელობის თბილისის ფიზიკა-მათემატიკური საშუალო სკოლა-ინტერნატის მე-9 კლასის მოსწავლე
15. მაკარიძე დ. — ვ. მ. კომაროვის სახელობის თბილისის ფიზიკა-მათემატიკური საშუალო სკოლა-ინტერნატის მე-9 კლასის მოსწავლე
16. ისაგულოვი დ. — ვ. მ. კომაროვის სახელობის თბილისის ფიზიკა-მათემატიკური საშუალო სკოლა-ინტერნატის მე-9 კლასის მოსწავლე
17. წიკლაური მ. — თბილისის 160-ე საშუალო სკოლის მე-9 კლასის მოსწავლე
18. მარდაღიშვილი ბ. — ქუთაისის ფიზიკა-მათემატიკური საშუალო სკოლა-ინტერნატის მე-9 კლასის მოსწავლე
19. დარსაველიძე მ. — ქუთაისის 32-ე საშუალო სკოლის მე-9 კლასის მოსწავლე
20. ალბოროვი ლ. — ცხინვალის მე-2 საშუალო სკოლის მე-9 კლასის მოსწავლე
21. თედევი რ. — ცხინვალის მე-5 საშუალო სკოლის მე-9 კლასის მოსწავლე
22. ნადარია ლ. — ვ. მ. კომაროვის სახელობის თბილისის ფიზიკა-მათემატიკური საშუალო სკოლა-ინტერნატის მე-10 კლასის მოსწავლე



23. სარიშვილი ი.—ვ. მ. კომაროვის სახელობის თბილისის ფიზიკა-მათემატიკური საშუალო სკოლა-ინტერნატის მე-10 კლასის მოსწავლე
24. ამირანაშვილი შ. — ვ. მ. კომაროვის სახელობის თბილისის ფიზიკა-მათემატიკური საშუალო სკოლა-ინტერნატის მე-10 კლასის მოსწავლე
25. ჩინჩალაძე ნ.—ვ. მ. კომაროვის სახელობის თბილისის ფიზიკა-მათემატიკური საშუალო სკოლა-ინტერნატის მე-10 კლასის მოსწავლე
26. გელაშვილი თ. — ვ. მ. კომაროვის სახელობის თბილისის ფიზიკა-მათემატიკური საშუალო სკოლა-ინტერნატის მე-9 კლასის მოსწავლე
27. მორჩილაძე დ. — ვ. მ. კომაროვის სახელობის თბილისის ფიზიკა-მათემატიკური საშუალო სკოლა-ინტერნატის მე-10 კლასის მოსწავლე
28. შალამბერიძე ს. — ვ. მ. კომაროვის სახელობის თბილისის ფიზიკა-მათემატიკური საშუალო სკოლა-ინტერნატის მე-10 კლასის მოსწავლე
29. ჯინჯოლავა ქ. — ზუგდიდის მე-6 საშუალო სკოლის მე-10 კლასის მოსწავლე
30. ჩიტიშვილი ბ. — თბილისის 42-ე საშუალო სკოლის მე-10 კლასის მოსწავლე
31. შარაშიძე მ. — მცხეთის საშუალო სკოლის მე-10 კლასის მოსწავლე
32. ნიქაბიძე მ. — ქუთაისის ფიზიკა-მათემატიკური საშუალო სკოლა-ინტერნატის მე-10 კლასის მოსწავლე
33. გობეჯიშვილი რ.—ქუთაისის ფიზიკა-მათემატიკური საშუალო სკოლა-ინტერნატის მე-10 კლასის მოსწავლე
34. ქელბაქიანი ლ. — ქუთაისის ა/კ რკინიგზის მე-12 საშუალო სკოლის მე-10 კლასის მოსწავლე
35. კიკნაძე ნ. — თბილისის 55-ე საშუალო სკოლის მე-10 კლასის მოსწავლე
36. ფიფია ა. — ლანჩხუთის რაიონის სოფელ სუფსის საშუალო სკოლის მე-10 კლასის მოსწავლე
37. კალანტაროვი ა. — თბილისის 116-ე საშუალო სკოლის მე-10 კლასის მოსწავლე
38. ნაზარიევა ნ. — თბილისის 96-ე საშუალო სკოლის მე-10 კლასის მოსწავლე
39. ალიევა ზ. — გარდაბნის რაიონის სოფელ ყარაჯალოს საშუალო სკოლის მე-10 კლასის მოსწავლე

40. გუსეინოვი მ. — ბოლნისის საშუალო სკოლის მე-10 კლასის მოსწავლე
41. ვირჩენკო ა. — გაგრის მე-2 საშუალო სკოლის მე-10 კლასის მოსწავლე
42. ოვნანიანი დ. — თბილისის 27-ე საშუალო სკოლის მე-10 კლასის მოსწავლე
43. ვისიჩი ა. — თბილისის 42-ე საშუალო სკოლის მე-10 კლასის მოსწავლე
44. იუსუფოვი შ. — გარდაბნის რაიონის სოფელ ყარაჯალოს მე-10 კლასის მოსწავლე
45. მამედოვი რ. — ბოლნისის რაიონის სოფელ სარაჩლოს საშუალო სკოლის მე-10 კლასის მოსწავლე
46. ხარინი ი. — სოხუმის მე-19 საშუალო სკოლის მე-10 კლასის მოსწავლე
47. ზიმკოვსკი ს. — ბათუმის მე-7 საშუალო სკოლის მე-10 კლასის მოსწავლე
48. შავთვალიშვილი თ. — თბილისის 42-ე საშუალო სკოლის მე-10 კლასის მოსწავლე
49. ბარნაველი ა. — თბილისის 42-ე საშუალო სკოლის მე-10 კლასის მოსწავლე
50. ყარალაშვილი ო. — თბილისის 163-ე საშუალო სკოლის მე-10 კლასის მოსწავლე
51. კერესელიძე ზ. — თბილისის 61-ე საშუალო სკოლის მე-10 კლასის მოსწავლე
52. წიკლაური გ. — თეთრიწყაროს ქართული საშუალო სკოლის მე-10 კლასის მოსწავლე
53. შეროზია მ. — ზუგდიდის 1-ლი საშუალო სკოლის მე-10 კლასის მოსწავლე
54. ტყაბლაძე ა. — ქუთაისის ფიზიკა-მათემატიკური საშუალო სკოლა-ინტერნატის მე-10 კლასის მოსწავლე
55. ხაჭაპურიძე ა. — ქუთაისის ფიზიკა-მათემატიკური საშუალო სკოლა-ინტერნატის მე-10 კლასის მოსწავლე

ნორჩ ფიზიკოსთა 34-ე რესპუბლიკური ოლიმპიადის შედეგებისა და 35-ე რესპუბლიკური ოლიმპიადის ჩატარების შედეგებს

34-ე რესპუბლიკური ოლიმპიადის სასკოლო ტურში მონაწილეობა მიიღო 3932-მა მოსწავლემ, მათ შორის 1396-მა სოფლის სკოლებიდან, სარაიონო (საქალაქო) ტურში — 1762-მა მოსწავლემ, მათ შორის 725-მა სოფლის სკოლებიდან, ზონალურ ტურში — 736-მა მოსწავლემ, მათ შორის — 242-მა სოფლის სკოლებიდან, რესპუბლიკურ დასკვნით ტურში — 153-მა მოსწავლემ, მათ შორის 43-მა სოფლის სკოლებიდან.

რესპუბლიკური ოლიმპიადის დასკვნით ტურზე ფიზიკის ამოცანების ამოხსნის კარგი ცოდნა გამოავლინეს ვ. კომაროვის სახელობის თბილისის ფიზიკა-მათემატიკური საშუალო სკოლა-ინტერნატის, თბილისის 136-ე, 77-ე, 47-ე და სხვა საშუალო სკოლების მოსწავლეებმა!

ოლიმპიადის თეორიული და ექსპერიმენტული ტურების შედეგების მიხედვით გაიმარჯვა და I, II, III ხარისხის სიგელებით დაჯილდოვდა 45 მოსწავლე.

ამასთან ერთად, ნორჩ ფიზიკოსთა 34-ე რესპუბლიკური ოლიმპიადის ჩატარებისას გამოვლინდა რიგი ნაკლოვანებები. ამბროლაურის, გარდაბნის, დმანისის, ზუგდიდის, ჩოხატაურის, ცხაკაიის, წალკის რაიონების, წყალტუბოს ზონის, ქ. ქ. თბილისის, ბათუმის, რუსთავის, ფოთის რიგი საშუალო სკოლების მიერ წარმოგზავნილმა მოსწავლეებმა დასკვნით ტურზე ძალზე დაბალი შედეგები აჩვენეს.

ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების ფიზიკის მასწავლებელთა ერთი ნაწილი სათანადო ყურადღებას არ უთმობს საოლიმპიადო ხასიათის გამოთვლითი, თვისობრივი და ექსპერიმენტული ამოცანების ამოხსნას, სისტემატურად არ ამზადებს მოსწავლეებს.

წერითი ნამუშევრებს ანალიზმა გვიჩვენა, რომ მოსწავლეთა უმრავლესობა ვერ ფლობს გამოთვლითი და სხვა ხასიათის ამოცანების ზოგადი სახით ამოხსნას შესწავლილ კანონზომიერებათა გამოყენებით, ამის გამო რესპუბლიკურ ტურში მონაწილე 153 მოსწავლიდან 19-მა მიიღო „0“ ქულა, 12-მა „1“ ქულა და 16-მა „2“ ქულა.

უპასუხისმგებლობა გამოიჩინა ზონალური ტურის ჩამტარებელმა ზოგმა საორგანიზაციო კომიტეტმა (ახალქალაქის, ონის, გურჯაანის, ლენტეხის, ყაზბეგის რაიონები). ისინი უყურადღებოდ მოეკიდნენ ოლიმპიადის ჩატარების საქმეს, არ გაატარეს საჭირო მოსამზადებელი ღონისძიებანი და რესპუბლიკურ საორგანიზაციო კომიტეტში საერთოდ არ წარმოადგინეს ცნობები ზონალური ტურის შედეგების შესახებ.

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. ნორჩ ფიზიკოსთა 34-ე რესპუბლიკურ ოლიმპიადაზე წარმატებების მოპოვებისათვის დაჯილდოვდნენ I ხარისხის სიგელით — 3 მოსწავლე, II ხარისხის სიგელით 10 მოსწავლე, III ხარისხის სიგელით 32 მოსწავლე.

2. 1981—1982 სასწავლო წელს ნორჩ ფიზიკოსთა 35-ე რესპუბლიკური ოლიმპიადა ჩატარდეს ოთხ ტურად: სასკოლო, რაიონული (საქალაქო), ზონალური და რესპუბლიკური. სასკოლო ტური ჩატარდეს 1981 წლის დეკემბერში, რაიონული (საქალაქო) — 1982 წლის იანვარში, ზონალური — 1982 წლის 21 თებერვალს, ხოლო რესპუბლიკური, დასკვნითი ტური — 1982 წლის 28—29 მარტს. სასკოლო, რაიონული (საქალაქო) და ზონალური ტურის ჩატარების ვადის შესახებ სათანადო ცვლილება იქნას შეტანილი დებულების მე-2 მუხლში!

3. ნორჩ ფიზიკოსთა 35-ე რესპუბლიკური ოლიმპიადის ხელმძღვანელობისათვის დამტკიცდეს რესპუბლიკური საორგანიზაციო კომიტეტი შემდეგი შემადგენლობით:

ცინცაძე ნ. ლ. — საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ფიზიკის ინსტიტუტის განყოფილების გამგე, პროფესორი, საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარე

ლომსიანიძე ზ. ა. — საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს მთავარი ინსპექტორი, კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე

ხაზარაძე ო. ს. — ი. გოგებაშვილის სახ. პედაგოგიკის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ლაბორატორიის გამგე, დოცენტი, თავმჯდომარის მოადგილე

რუხაძე ლ. — საქართველოს ალკა ცენტრალური კომიტეტის მოსწავლე ახალგაზრდობის განყოფილების ინსტრუქტორი

კვიციანიძე მ. ვ. — საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის კიბერნეტიკის ინსტიტუტის უფროსი მეცნიერი თანამშრომელი, ფიზიკა-



- მათემატიკურ მეცნიერებათა კანდიდატი
 როსტომაშვილი გ. თ. — საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ფიზიკის ინსტიტუტის მეცნიერი თანამშრომელი
- სტამატელი ი. ი. — ვ. ი. ლენინის სახ. საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის საინჟინრო ფიზიკის ფაკულტეტის დოცენტი
- ლონდაძე ა. დ. — საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ფიზიკის ინსტიტუტის უმცროსი მეცნიერი თანამშრომელი, ფიზიკა-მათემატიკურ მეცნიერებათა კანდიდატი
- ჭავჭავაძე თ. ნ. — საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის კიბერნეტიკის ინსტიტუტის უფროსი მეცნიერი თანამშრომელი, ფიზიკა-მათემატიკურ მეცნიერებათა კანდიდატი
- ცხაკაია დ. დ. — საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ფიზიკის ინსტიტუტის უფროსი მეცნიერი თანამშრომელი, ფიზიკა-მათემატიკურ მეცნიერებათა კანდიდატი
- ხმალაძე ვ. ი. — თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მაღალი ენერჯების ინსტიტუტის უფროსი მეცნიერი თანამშრომელი, ფიზიკა-მათემატიკურ მეცნიერებათა კანდიდატი
- თარგამაძე ვ. გ. — თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზოგადი ფიზიკის კათედრის ასისტენტი
- ეპიტაშვილი გ. გ. — საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს ნორჩ ტექნიკოსთა ცენტრალური სადგურის დირექტორი
- ხაზარაძე თ. მ. — თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზოგადი ფიზიკის კათედრის უფროსი მასწავლებელი
- გოგიაშვილი გ. დ. — საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ფიზიკის ინსტიტუტის მეცნიერი თანამშრომელი
- კიკაბიძე ლ. თ. — საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს სასწავლო კინო და ტელეგადაცემების რესპუბლიკური მეთოდკაბინეტის ლაბორატორიის გამგე
- გაგნიძე კ. მ. — საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს აღმზრდელობითი მუშაობის სამმართველოს უფროსის მოადგილე
- გვალია დ. ი. — საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს სასწავლო კინოსა და ტელეგადაცემების რესპუბლიკური მეთოდკაბინეტის დირექტორი
- ჩანთაძე მ. ბ. — საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს რესპუბლიკური მეთოდური ცენტრის მეთოდისტი

გირიანი ვ. — რუსთავეის მე-3 საშუალო სკოლის ფიზიკის მასწავლებელი

ჯავახიშვილი ა. ა. — აკადემიკოს ი. ნ. ვეკუას სახ. თბილისის 42-ე საშუალო სკოლის დირექტორი

ჯაშიაშვილი ლ. მ. — თბილისის 77-ე საშუალო სკოლის ფიზიკის მასწავლებელი

კიკნაძე ჯ. — კომაროვის სახ. თბილისის ფიზიკა-მათემატიკური სკოლა-ინტერნატის ფიზიკის მასწავლებელი

გედენიძე გ. — კომაროვის სახ. თბილისის ფიზიკა-მათემატიკური სკოლა-ინტერნატის ფიზიკის მასწავლებელი

4. დაევალოს რესპუბლიკურ საორგანიზაციო კომიტეტს უჩელოძე დავანლოს ოლიმპიადის მომზადება-ჩატარებას, პერიოდულად შეამოწმოს ოლიმპიადისათვის მზადების საკითხი, ჩაატაროს შოსამხადენელი სამუშაო.

5. აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განათლების მინისტრებმა, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, ქალაქებისა და რაიონების განათლების განყოფილებათა გამგეებმა ქ. თბილისის სახალხო განათლების სამმართველომ:

ა) უზრუნველყონ ნორჩ ფიზიკოსთა 34-ე რესპუბლიკური ოლიმპიადის შედეგების განხილვა ფიზიკის მასწავლებელთა სექციების სსდომებზე;

ბ) მიაღწიონ ფიზიკის ოლიმპიადებში მოსწავლეთა ფართო მონაწილეობას. ამ მიზნით ყურადღება მიაქციონ კლასგარეშე მუშაობას, პიონერთა და მოსწავლეთა სახლებსა და ნორჩ ტექნიკოსთა სადგურებში, აგრეთვე, კომაროვის სახელობის თბილისის ფიზიკა-მათემატიკურ საშუალო სკოლა-ინტერნატში და აკადემიკოს ი. ვეკუას სახ. თბილისის 42-ე საშუალო სკოლაში ჩამოაყალიბონ ნორჩ ფიზიკოსთა სპეციალური ჯგუფები, მათთან მეცადინეობის ჩასატარებლად შეარჩიონ საუკეთესო მასწავლებლები, ყოველმხრივ შეუწყონ ხელი ფაქულტეტური საათების ხარჯზე მოსწავლეთა თეორიული და პრაქტიკული უნარ-ჩვევების დონის ამაღლებას;

გ) აღნიშნული ბრძანება დაიყვანონ სკოლებამდე და სკოლისგარეშე დაწესებულებებამდე და უზრუნველყონ მისი შესრულება.

6. ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების ფიზიკის მასწავლებლებმა შეარჩიონ ფიზიკით დაინტერესებული სათანადო მიდრეკილების მქონე



ნე მოსწავლეები, სისტემატურად ავარჯიშონ ისინი გამოთვლითა და
თვისობრივი, ექსპერიმენტული ხასიათის ამოცანების ამოხსნაზე, მოს-
წავლეებში მტკიცედ დანერგონ დამოუკიდებელი მუშაობის ჩვევები
და ფიზიკის ოლიმპიადები მაქსიმალურად გამოიყენონ მოსწავლეთა
სწორი პროფესიული ორიენტაციისათვის.

7. საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს საგეგმო-საფინ-
ანსო სამმართველომ (ამხ. ო. კერესელიძე) ნორჩ ფიზიკოსთა ცენტრ-
ალური სადგურის ბიუჯეტში 1982 წლისათვის გაითვალისწინოს ნორჩ
ფიზიკოსთა 35-ე რესპუბლიკური ოლიმპიადის ჩატარებისათვის საჭი-
რო ხარჯები.

8. საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს მოპარაკების
მთავარმა სამმართველომ (ამხ. კ. ძლიერიშვილი) ნორჩ ტექნიკოსთა
ცენტრალურ სადგურს 1982 წლისათვის გამოუყოს ნორჩ ფიზიკოსთა
35-ე რესპუბლიკური ოლიმპიადის ჩატარებისათვის საჭირო რაოდე-
ნობის ქალაქი.

9. გაზეთ „სახალხო განათლების“, ყურნალ „სკოლა და ცხოვრე-
ბის“ და „ფიზიკა და მათემატიკა სკოლაში“ რედაქციებმა (ამხ. ამხ.
ნ. შველიძე, ა. გოგელია და ა. ბენდუქიძე) პერიოდულად გამოაქვეყნონ
მასალები ოლიმპიადის მიმდინარეობის შესახებ.

10. კონტროლი ამ ბრძანების შესრულებაზე განახორციელოს სკო-
ლების სამმართველომ (ამხ. კ. სუჯაშვილი).

საფუძველი: საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლე-
გიის 1981 წლის 17 ივნისის გადაწყვეტილება.

მინისტრი

ო. ჭინჭლაძე

ПРИКАЗ МИНИСТЕРСТВА ПРОСВЕЩЕНИЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

Об итогах 34-й Республиканской олимпиады юных
физиков и проведении 35-ой олимпиады

17 июня 1981 года, № 414

В школьном туре 34-й Республиканской олимпиады участвовало 3932 учащихся, из них 1396 — сельской школы, в районном (городском) туре — 1762 учащихся, из них 725 — сельской школы, в зональном туре — 736 учащихся, из них 242 — сельской школы, в Республиканском туре — 153 учащихся, из них 43 — сельской школы.

В заключительном туре Республиканской олимпиады хорошие результаты показали учащиеся средних школ №№ 47, 77, 136 и Физико-математической школы-интерната им. В. М. Комарова г. Тбилиси.

По результатам теоретического и экспериментального туров заключительного этапа олимпиады победили и награждены грамотами I, II, и III степени 45 учащихся.

Вместе с тем, при проведении олимпиады были выявлены недостатки. Учащиеся ряда средних школ Амбролаурского, Гардабанского, Дманисского, Зугдидского, Чохатаурского, Цхакаевского, Цалкского районов, Цхалтубеской зоны, гг. Тбилиси, Батуми, Рустави, Поти на заключительном этапе показали низкие результаты.

Часть преподавателей физики общеобразовательных школ не уделяет должного внимания решению задач олимпиадного характера.

Анализ письменных работ показал, что большая часть участников не владеет навыками решения задач вычислительного и качественного характера с использованием изученных закономерностей, вследствие этого из 153 учащихся, участвующих в Республиканском туре, «0» баллов получили 19 учащихся, «1» балл — 12 и «2» балла — 16 учащихся.



